მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) წინამძღვარი კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 15 იანვარი, 1952 წ. № 12 (9172). ფასი 20 კაპ.

ДЕС ГАЗЕТИШИА

მშენებლობის გეგმები შეასრულოთ დროზე და მაღალხარისხოვნად — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ლენინის დღეების წინ (1-ლი გვერდი).

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში (1-ლი გვერდი).

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე — კვირადღე მშენებლებთან (1-ლი გვერდი).

სახელოვანი წლისთავი (1-ლი გვერდი).

პარტიული და უპარტიო აქტივის ალზრდა (მე-2 გვერდი).

სოციალისტური ძოლების დაცვის საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროზე (მე-2 გვერდი).

საკოლმეურნეო მოსავლისა და შემოსავლის გაანგარიშების [illegible] (მე-3 გვერდი).

გათუმელი [illegible] (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშენებლობის გეგმები შეასრულოთ დროზე და მაღალხარისხოვნად

განვლილ სამეურნეო წელს ჩვენს რესპუბლიკაში მშენებლებმა მთელი რიგი სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს. აგვისტოში ამუშავდა რესპუბლიკის სიამაყე — ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც უკვე გვაძლევს მაღალხარისხოვან სატვირთო ავტომანქანებს. უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლებმა. მათ დაამთავრეს და 4 ნოემბერს საექსპლოატაციოდ გადასცეს სტალინის სახელობის სამგორის ზემომაგისტრალური არხი და თბილისის წყალსაცავი. წარმატებით გრძელდება ბამბეულის კომბინატის მშენებლობა გორში. კომბინატის მშენებლებმა შარშან საექსპლოატაციოდ გადასცეს ამ საფეიქრო გიგანტის რამდენიმე საამქრო. ახალი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი ამ კომბინატის სართავ-საქსოვი საამქროები უკვე გვაძლევენ პირველ მზა პროდუქციას. ამავე დროს წარმატებით გრძელდება კომბინატის შემდგომი საამქროების აგება და მათი სამონტაჟო სამუშაოები. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა შარშან მიიღეს საუცხოოდ ნაგები მეტეხის ხიდი მდინარე მტკვარზე.

ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი შეემატა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და მუშათა საცხოვრებელ დაბებს. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, ტყვარჩელისა და სხვა ქალაქების მრავალმა შრომელმა მიიღო კეთილმოწყობილი ბინა.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ახალი მშენებლობებისა და მშენებლებისადმი. წინა წლებთან შედარებით ახალი მშენებლობები გაცილებით უკეთ მარაგდებიან საშენი მასალებით; მშენებლებს დიდი რაოდენობით მოეპოვებათ სამშენებლო მექანიზმები, რაც მშენებლობის მექანიზაციის დიდ შესაძლებლობას ქმნის. მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები მექანიზმების უნარიანი გამოყენებით აღწევენ მშენებლობის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, აუმჯობესებენ ხარისხს და აიაფებენ მშენებლობის ღირებულებას.

რესპუბლიკის მშენებელ ორგანიზაციათა შორის შარშან განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვა გორის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ, რომელმაც ბამბეულის კომბინატის მშენებლობის წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით მრავალი ასეული ათასი მანეთი აითვისა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის მშენებელთა კოლექტივინ მაღალნაყოფიერი მუშაობა. მათ განსაკუთრებით ისახელეს თავი სტალინის სახელობის სამგორის ზემო მაგისტრალური არხის სათავო ნაგებობებისა და გვირაბების მშენებლობებზე როგორც ამ მშენებლობათა დროულად დამთავრებით, ისე მათი მაღალი ხარისხითა და მშენებლობის სისტემატური გაიაფებით.

მექანიზმების ფართოდ გამოყენების, რენტაბელური მუშაობისა და შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის მხრივ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია ქუთაისის შუშის ტარის ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა, რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს მშენებლობის გეგმებს და დიდი რაოდენობით ზოგავს საშენ მასალებს.

ამავე დროს რესპუბლიკაში არიან ისეთი სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც ძლიერ აჭიანურებენ მშენებლობას, სანახევროდაც ვერ ასრულებენ მთელი რიგი სამშენებლო ობიექტების მშენებლობის გეგმებს. მაგალითად, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი თბილისში, ლისის ქუჩაზე ამავე სამინისტროს მუშაკებისათვის 1949 წლიდან აშენებს ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელიც 1950 წელს უნდა დაემთავრებინათ, მაგრამ დღემდე დაუმთავრებელია. ამავე სამინისტროს საბურთალოს აგურის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის, საერთო საცხოვრებლისა და საბავშვო ბაღის მშენებლობას ტრესტი „თბილმშენი“, ნაცვლად გასული წლის ივნისისა, აგვისტოში შეუდგა და მშენებლობის გეგმა დღემდე უძნიშვნელო პროცენტით აქვს შესრულებული.

საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულების მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს მშენებლებზეა.

მშენებლობის გეგმების შესრულების საქმეში ასეთი ჩამორჩენა უმთავრესად სამუშაოთა ცუდი ორგანიზაციის, მუშახელის დენადობის, კვალიფიციურ მშენებელ მუშათა ნაკლებობის, სამუშაოთა სუსტი მექანიზაციის შედეგია. ზოგიერთი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კვალიფიციურ მშენებელ მუშათა მუდმივი კადრების აღზრდისა და მათი შენარჩუნებისათვის, არ უქმნიან მათ მუშაობისა და კულტურული დასვენების ნორმალურ პირობებს. სამშენებლო ობიექტებზე მშენებელ მუშათა შორის ძლიერ სუსტია კულტურულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ბევრგან უწესივრობა და სივიწროვეა მუშათა საერთო საცხოვრებელში, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სასადილოები და სავაჭრო წერტილი, ხოლო ყოველივე ამას ადვილად ურიგდებიან პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები და საჭირო ზომებს არ იღებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში ახალ წარმატებათა მოპოვებას დიდმნიშვნელოვანი პირობაა ფართოდ გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა მილიონნიანი მასები. ამ მიმართულებით მშენებლობათა მრავალ ობიექტზე სავსებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. უმრავლეს შემთხვევაში სამშენებლო ობიექტებზე სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მიმდინარე წელს მშენებელთა წინაშე უფრო დიდი ამოცანებია დასახული. კაპიტალური, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულება, მშენებლობის ღირებულების გაიაფება, თვითეული სამრეწველო და საბინაო ობიექტის საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემა — ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის, მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცების საფუძველია. პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, მშენებლობათა მრავალრიცხოვანი კოლექტივების საპატიო მოვალეობაა მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა, სისტემატურად გააიაფონ მშენებლობის ღირებულება, აამაღლონ ხარისხი, მოიპოვონ ახალი წარმატებანი.

გადაწყვეტილება

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შესახებ

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. დაშვებულ იქნან:

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად — **ბაღათურია** დავით ისიდორეს-ძე;

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად — **მუსერიძე** გიორგი ვლადიმერის-ძე;

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის მოვალეობის ასასრულებლად — **დევდარიანი** გრიგოლ გრიგოლის-ძე;

ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრების მოვალეობის ასასრულებლად: **ვაჩაძე** იონა პავლეს-ძე, **ყორყოლიანი** ალექსანდრე ბესარიონის-ძე, **გვეტაძე** შიო ვლადიმერის-ძე, **გონაძე** ველიამინა ნიკიფორეს ასული, **ტყეშელაშვილი** ვარლამ ბეგლარის-ძე, **კირთაძე** ლეონიდე ლუკას-ძე, **მორჩაძე** ვერა ეგნატეს ასული.

2. ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს სესიას.

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლომიძე

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. გვანცელაძე

ქ. ქუთაისი. 1952 წლის 10 იანვარი.

საბჭოთა კავშირში

★

ლენინის დღეების წინ

21 იანვარს 28 წელი სრულდება ბოლშევიკური პარტიის დამაარსებლისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან. მოსკოვის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, წმიდად ინახავენ რევოლუციის დიდი გენიოსის ნათელ ხსოვნას.

ამ დღეებში დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების საამქროებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ათასობით აგიტატორი და პროპაგანდისტი მართავს საუბრებსა და ლექციებს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი მეგობრობის შესახებ.

უამრავი ხალხია ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დარბაზებში. იანვრის დამდეგიდან აქ იყო უკვე 40 ათასზე მეტი მოსკოველი და რუსეთის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან და ოლქებიდან ჩამოსულნი. კვირას, 13 იანვარს, მუზეუმი დაათვალიერა 5 ათასზე მეტმა კაცმა. მნახველებს მომსახურებას უწევდა 27 ლექტორი.

ყოველი ნახევარი საათის შემდეგ მუზეუმის კონფერენც-დარბაზში მნახველთ უჩვენებდნენ დოკუმენტალურ ფილმს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“.

ბევრი ექსკურსანტი იყო 13 იანვარს მოსკოვის მახლობლად მდებარე გორკი-ლენინსკიეში, სადაც ისვენებდა, მუშაობდა და თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ვლადიმერ ილიას-ძემ. დღის განმავლობაში ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი გორკი-ლენინსკიეში ასობით მშრომელმა დაათვალიერა. (საკ-დესი).

რიგა. ლატვიის საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებსა და კოლმეურნეობებში იმართება ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორისა და ბელადის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მოხსენებები და საუბრები.

რიგის მშრომელთა მრავალრიცხოვანმა ექსკურსიებმა დაათვალიერეს ისტორიული შენობა ცესუს ქუჩაზე, სადაც ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა რიგაში ყოფნის დროს 1900 წელს, აგრეთვე ის შენობა ახლანდელ კიროვის ქუჩაზე, სადაც მაშინ გაიმართა ვ. ი. ლენინისა და ადგილობრივი სოციალ-დემოკრატების თათბირი.

მოსკოვის მეტროპოლიტენის დიდი რკალის ახალშენავებელ უბანზე. სურათზე: სადგური „ბოტანიკური ბაღის“ მიწისქვეშა ვესტიბიული.

ფოტო ლ. ველიკანინისა (საკ-დესის ფოტოქრონიკა)

კომუნიზმის დიად მშენებლობას

კუიბიშევჰიდრომშენის უფროსმა ამხ. კომზინმა და ამავე მშენებლობის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. ვორონკოვმა სტალინის სახელობის ავტომქარხნის დირექტორის, პარტიული კომიტეტის მდივნისა და ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნეს დეპეშა.

„კუიბიშევჰიდრომშენის კოლექტივი მზურვალე მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისათვის, რომელიც გაგვიწიეთ 1951 წელს ავტომანქანების ვადამდე გადმოგზავნით. ამან ხელი შეუწყო კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წლიური გეგმის 20 დეკემბრისათვის შესრულებას. ჩვენი მუშაობის გეგმა წელს მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელს“. დეპეშაში გამოთქმული იყო თხოვნა გადაეგზავნათ პირველი კვარტალის ანგარიშში დამზადებული ავტომანქანები ვადამდე — იანვარში.

კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა ეს თხოვნა დაკმაყოფილებულია. 10 იანვარს, ღამით, 125 სატვირთო მანქანა ზის-150 და ხუთი მანქანა ზის-151 დატვირთულ იქნა რკინიგზის პლატფორმებზე და გაეგზავნა მშენებლებს.

გუშინ, 11 იანვარს, პერმის რკინიგზაზე, სადაც კუიბიშევჰიდრომშენის ტყის ნაკვეთებია, გაიგზავნა კიდევ 15 ავტომობილი ზის-150. ამით სტალინის სახელობის ავტომქარხნის კოლექტივმა შეასრულა კუიბიშევის ჰიდროკვანძის მშენებელთა თხოვნა. (საკ-დესი).

ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძზე

ციმლიანსკაია, 11 იანვარი. (საკ-დესი). ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის პირველი დეკადის დავალება.

ახლა ისინი ემზადებიან ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — ციმლიანსკაიას ზღვის თანდათანობით შექმნისათვის. კაშხალიდან მდინარის აყოლებით მდებარე ხეობაში მიმდინარეობს მომავალი ზღვის ფსკერის საჭირო გაწმენდა.

ვოლგა-დონის სანაოსნო არხისა და ციმლიანსკაიას ჰესის საექსპლოატაციოდ გადაცემა, აგრეთვე როსტოვის ოლქში 1952 წელს პირველი 100 ათასი ჰექტარი მიწის მორწყვა დამოკიდებულია არა მარტო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დროულად დამთავრებაზე, არამედ წყლის იმ რაოდენობაზეც, რაც ციმლიანსკაიას ზღვაში დაგროვდება. ამიტომ მესამე სამშენებლო რაიონის კომკავშირულ-ახალგაზრდული უბნის კოლექტივმა გადაწყვიტა ახლავე დაამთავროს ტენის დაგროვებისათვის საჭირო ყველა მოსამზადებელი სამუშაო. მშენებლებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ახალგაზრდობის ინიციატივას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მოვლენაც მშენებლობაზე. ამ დღეებში დაიწყო წყალსაშვებ კაშხალზე გადაჭიმული უდიდესი ბეტონსაზიდი ესტაკადის გადატანა.

ბეტონსაზიდი ესტაკადის ახალ ადგილზე დადგმა საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად დავამთავროთ წყალსაშვები კაშხალის დაბეტონება, რომელზეც გაივლის რკინიგზის ლაინდაგი და გზატკეცილი.

★

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

12 იანვარს ა. ა. ფადეევის თავმჯდომარეობით გაიმართა ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა. განხილულ იქნა 1951 წლის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაწარმოებნი პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის დარგში, აგრეთვე ნაშრომები ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში.

მოხსენებები გააკეთეს ნ. ს. ტიხონოვმა, პ. უ. ბროვკამ, ბ. ა. ლავრენიოვმა, დ. დ. ბლაგოვმ.

კომიტეტში შემოვიდა 200-ზე მეტი წიგნი. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნაწარმოებებს თანამედროვე თემებზე. რომანები, მოთხრობები, ლექსების კრებულები ასახავენ საბჭოთა სინამდვილეს, საბჭოთა კავშირის ხალხთა დაუღალავ ბრძოლას მშვიდობისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის. ფართოდ არის წარმოდგენილი მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედება. (საკ-დესი).

პრემიები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის

დამტკიცდა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების 1952 წლის გეგმა. ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტები 10 პროცენტით აღემატება ინდივიდუალურ მშენებელთათვის გასულ წელს მიცემულ საერთო თანხას. დიდი თანხებია გამოყოფილი რკინიგზის ტრანსპორტის, ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ნავთის, სატყეო, მსუბუქი მრეწველობისა და სხვა დარგების მუშაკთათვის სესხების მისაცემად.

მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები სესხს მიიღებენ უმთავრესად იმ საწარმოთა მეშვეობით, სადაც ისინი მუშაობენ.

გასული წლების მაგალითისამებრ სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მშრომელთა ზოგიერთ ჯგუფს მიეცემა აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მეშვეობით. (საკ-დესი).

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე

კვირადღე მშენებლებთან

მშენებლები განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე არიან გადასული. მათთვის კვირადღე არაფრით განსხვავდება სხვა დღეებისაგან. სათავიდან უკვე კარგა ხნის წინათ გამოშვებულ წყალს გზას უმზადებენ, წინ, დანიშნულებისამებრ ერეკებიან.

დღეს კვირადღეა — 13 იანვარი.

პირველი სამშენებლო უბნის უფროსი ინჟინერი ბიძინა აბულაძე ტელეფონით იუწყება, რომ მას დღეს ჩასაწყობი აქვს რკინა-ბეტონის 19 დიდდიამეტრიანი მილი. ამწედ გამოყენებული ექსკავატორის მემანქანის პავლე სუხაჩევისათვის ეს ერთი დღის სამუშაოა, მაგრამ ამას გარდა საჭიროა ინერტული მასალის მიწოდების გაძლიერება, რათა მილსადენის დამმონტაჟებლები არ გაჯდნენ. მილების ჩაწყობა საქმეს არ შველის, თუ ამ მილების ერთმანეთთან გადაბმა, შედუღება და დაკვერვა გაჭიანურდა.

საშენი მასალის მიწოდების გაძლიერებას მოითხოვენ მეოთხე სამშენებლო უბნიდანაც. ინჟინერი ლევან ჩქარეული მოსვენებას არ აძლევს საავტომობილო ტრანსპორტის ბაზას — გამოყავთ მეტი, რაც შეიძლება მეტი თვითდამცლელი ავტომობილები, რათა ვერტიკალური შახტის საფუძვლის დასაბეტონებლად საჭირო ქვიშა-ხრეშის, ცემენტის, სხვა მასალების მომარაგება ხვალ მაინც დამთავრდესო. შახტში მშენებლები დღეს გვირაბის წმენდითს სამუშაოებზე არიან გადასული. ამინდს გაუმჯობესება ეტყობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბეტონის სამუშაოთა განახლება შესაძლებელი გახდება, მაგრამ სამაგიეროდ კარგი ამინდი გზას გაუვალს გახდის ავტოტრანსპორტისათვის და სანამ ეს არ მომხდარა, ქვიშა-ხრეშის და სხვა მასალის მომარაგებაში ხელი შეგვიწყეთო, — მოითხოვს იგი.

მეორე უბნის უფროსი ინჟინერი ბორის კოდუა არასასიამოვნო ამბავს უუწყებს: სადიუკერე ტრანშეის ცალი მხარე მოულოდნელად ჩამოინგრა. 400 კუბმეტრამდე მიწა ჩამოწვა ღრმად გაჭრილ სადიუკერე კალაპოტში და მშენებლებს დღეს მის ამოწმენდაზე მუშაობა უხდებათ. აქ დღეს მთელი უბნიდან გადმოიყვანეს მოწინავე ბრიგადები. ამ სამუშაოთა სახელმძღვანელად მოვიდნენ ინჟინერი ბორის მგალობლიშვილი, გეოლოგი ნინო წულაია. ორ დღეში უნდა მოათავონ მათ სადიუკერე კალაპოტის ამოწმენდა. მექანიზმების იქ გამოყენება შეუძლებელია და ამიტომ ბლომად არიან საჭირო მიწისმთხრელები, რათა დიუკერის დამონტაჟება არ შეფერხდეს.

მაღლა, სერის მწვერვალზე წყალგანმანაწილებელი დიდი რეზერვუარის მშენებლობაზე დღეს მხოლოდ მეარმატურეები მუშაობენ. რამდენიმე დღის წინათ რეზერვუარის წიაღში, ეგრეთწოდებული საშიბერო (წყლისათვის მიმართულების მიმცემი) კამერების დაბეტონება დაამთავრეს. ბეტონს სიცივემ რომ არ ავნოს, რეზერვუარში თუნუქის ღუმელებში ცეცხლს ანთებენ. კვამლი და სითბო ხელს უწყობს ბეტონის გამკვრივებას. გარეთ კი ახალგაზრდა მეარმატურეები, რომლებსაც აკაკი სანიკიძე ხელმძღვანელობს, არმატურას აწყობენ, ახალ საბეტონო სამუშაოთა ფრონტს ამზადებენ. ამიტომ არის, რომ აქაც აგროვებენ ქვიშა-ხრეშისა და ცემენტის მარაგს. ამინდს გაუმჯობესება ეტყობა, თანაც ბეტონისათვის სათბურებს იმარაგებენ და ორი-სამი დღის შემდეგ დღისით სავსებით შესაძლებელი იქნება ბეტონის სამუშაოთა გაჩაღება.

მექანიზმების კანტორის მთელი კოლექტივი დღეს ტრასზე სამუშაოდ არის გასული. მთავარი მექანიკოსი ნიკოლოზ სერგეევი მექანიზატორებთან არის. ვისაც სად გაუჭირდება, დაუყოვნებლივ იქ მიდის დახმარების აღმოსაჩენად.

წიწამურის მახლობლად მდინარე არაგვზე ქვიშა-ხრეშის კარიერია და იქ ექსკავატორი და ბულდოზერი მუშაობს. მეექსკავატორე ივანე ნაზვანოვი და მებულდოზერე ივანე გლაზოვი დღეს განსაკუთრებით დიდი დატვირთვით მუშაობენ. განუწყვეტელ ნაკადად მიეშურებიან ამ კარიერისკენ ავტომანქანები ტრასის ყოველი კუთხიდან. რვა ბეტონსარევი დახადგარი და ბეტონის ერთი მძლავრი ქარხანა მათგან მოითხოვენ „საკვებს“ — ქვიშა-ხრეშს. მრავალი ათი თვითდამცლელი ავტომობილი უწევს მებეტონეებს მომსახურებას. მძღოლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან დავით თვალიაშვილი, ზაქარია მარტოლეკი, დიმიტრი კაჭკაჭური, ანდრია ხოდუნოვი და ატლეტური გარეგნობის გიორგი თალაშვილი.

— ესენი ბულაჩაურის ავტოტრანსპორტის მოწინავე, სახელოვანი ადამიანები არიან, — ამბობს ამ მძღოლების შესახებ ბულაჩაურმშენის ავტოტრანსპორტის დისპეტჩერი ვასილ სემიონოვი. — მათთვის მინდობილი საქმის წარმატება წინასწარვე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩავთვალოთ.

* * *

ასეთია ეს კვირადღე, მშენებელთა შრომითი სიმამაცის მაგალითებით აღსავსე ერთი ჩვეულებრივი დღე ბულაჩაურის მშენებლობაზე.

დ. ამირანიძე

სახელოვანი წლისთავი

ბათუმი, 14 იანვარი. (საქ-დესი). ბათუმის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს ამხანაგ სტალინის მიერ რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მემართულების კომიტეტის შექმნის 50-ე წლისთავი. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში გაიმართა ლექციები და საუბრები ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახებ.

ბათუმის ბევრმა მშრომელმა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ბათუმის რევოლუციის მუზეუმი, გაეცნენ მასალებსა და დოკუმენტებს დიდი სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. ისინი აღფრთოვანებით ათვალიერებდნენ იმ ადგილას აღმართულ ობელისკს, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ იდგა მუშა სილობისტრო ლომჯარიას სახლი. ამ სახლში 1901 წლის 31 დეკემბერს (ძველი სტილით) ამხანაგმა სტალინმა ახალწლის შეხვედრის სახით გამართა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ გამოყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით, რომელმაც შეასრულა რსდმპ ლენინურ-ისკრული მემართულების ბათუმის კომიტეტის როლი.

ნავთგადამმუშავებელ ქარხანაში გაიმართა შეხვედრა ბათუმის ძველ მუშებთან, რომლებიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ ბრძოლებში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ბათუმის რევოლუციის მუზეუმში გამართულმა სამეცნიერო სესიამ, რომელიც მიეძღვნა რსდმპ ბათუმის ლენინურ-ისკრული მემართულების კომიტეტის შექმნისა და ბათუმში ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის 50-ე წლისთავს.

პარტიული ცხოვრება

პარეგბიურო და უპარეგბიო აქტივის აღზრდა

საამთო მანქანათმშენებელი ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ქუთაისში. იგი ყოველ წელს მნიშვნელოვანი გამარჯვებებით ამთავრებს და ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის რაიონებს დიდძალ საშახტე მოწყობილობას უმზადებს. 1951 წლის მაჩვენებლები ასეთია: წლიური გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით, შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 5 პროცენტით, შემცირებულია თვითღირებულება და დაზოგილია დიდძალი ნედლეული და დამხმარე მასალები. მანქანათმშენებლებმა გასულ წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასიათასობით მანეთის პროდუქცია.

როდესაც ამ წარმატებებს ანალიზს ვუკეთებთ, ცხადი ხდება, რომ საქარხნო პარტორგანიზაციას კარგად აქვს დაყენებული მუშაობა მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებისათვის, პარტბიურო ციფრებსა და პროცენტებს უკან კარგად ხედავს ცოცხალ ადამიანებს, რომელთა მარჯვენით არის მოპოვებული აღნიშნული წარმატებანი.

ვინ არიან ეს ადამიანები? ესენი არიან მუშები, სტახანოველები, რომელთათვის წარმოების ინტერესები ყველა ინტერესებზე მაღლა დგას, ესენი არიან ნოვატორები, რომლებმაც მარტო გასულ წელს ორასამდე წინადადება შეიტანეს და მათი განხორციელებით 871 ათასი მანეთის ეკონომია იქნა მიღწეული. ეს არის მთელი კოლექტივი, რომლის თვითეული წევრი ისწრაფვის წინ, სულ უფრო შეგნებულად უდგება საქმეს, აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირნათლად ასრულებს ყოველგვარ დავალებას.

ქარხნის საამქროებსა და განყოფილებებში 152 კომუნისტია. ისინი დიდ მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან კოლექტივში. მათ მტკიცედ ჰყავთ შემოკრებილი მრავალრიცხოვანი უპარტიო აქტივი.

აქტივთან კავშირის განსამტკიცებლად და მათი ორგანიზაციული გამოწრთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დავალებას. ქარხნის პარტორგანიზაციამ მიიღწია იმას, რომ ათობით უპარტიო გამოიყენებინა საამქროთა კომიტეტების თავმჯდომარეებად, მომხსენებელთა ჯგუფის წევრებად და სხვა საქმეზე. უპარტიო მარიამ კოტრიკაძეს, რომელიც საქარხნო კომიტეტის წევრია, ქარხანაში კულტმასობრივი მუშაობის უბანი აბარია და ენერგიასა და ცოდნას არ იშურებს დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ასევე ითქმის უპარტიოების ი. ბანძელაძის, თ. ქურდიანის, ბ. ხაბურძანიას და სხვების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი დავალებანი აქვთ მიცემული და ყველაფერს აკეთებენ პარტორგანიზაციის ნდობის გასამართლებლად.

მაგრამ აქტივის წრე მარტო კომკავშირული და პროფკავშირული მუშაკებით როდი განისაზღვრება.

მეოთხედზე მეტი იმ აგიტატორებისა, რომლებიც ქარხნის საამქროებში, ცალკეულ უბნებსა და ბრიგადებში მუშაობენ, უპარტიო ინჟინრები, ტექნიკოსები, მუშები, მოსამსახურეები არიან. ისინი ეხმარებიან პარტორგანიზაციას შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდაში და ამ დავალების შესრულების პროცესში თვითონაც იზრდებიან. სტახანოველი მბურღავი რ. გორგაძე სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა წარმოებაში მოვიდა. მას საკმაო გამოცდილება არ ჰქონდა როგორც საწარმოო, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში. მაგრამ საქმისადმი ინტერესით თავიდანვე გამოირჩეოდა. პარტორგანიზაციამ მისი თვისებები კარგად შეისწავლა და აგიტატორობა დაავალა. ამან დიდად გაზარდა შრომისმოყვარე ახალგაზრდის პასუხისმგებლობა. ამჰ. გიორგაძემ მეტი ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს. მან იცოდა, რომ აგიტატორისათვის მთავარია იდეური დონისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განუწყვეტელი ზრუნვა, რათა მაგალითის მაჩვენებელი ყოფილიყო სხვებისათვის. ამიტომ იგი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახდა. განუწყვეტლივ მუშაობს თავის თავზე. ახლა ამჰ. გიორგაძე ერთ-ერთი მოწინავე აგიტატორი და საუკეთესო სტახანოველია.

უპარტიო აქტივთან კავშირის განმტკიცებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ღია პარტიულ კრებებს. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ კომუნისტს არ შეუძლია ჩაიკეტოს თავის პარტიულ ნაჭუჭში, იყოყოჩოს პარტიულობით, იგი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს უპარტიოებს, მან არა მარტო უნდა ასწავლოს უპარტიოებს, არამედ კიდეკაც ისწავლოს მათგან.

პარტორგანიზაცია ღია კრებებს კარგად იყენებს მასებთან დაახლოებისათვის. გასული წლის 30 ნოემბერს ქარხანაში მოეწყო პარტორგანიზაციის ღია კრება, რომელიც მიეძღვნა ახალი სამეურნეო წლისათვის მზადება. საკითხის მომზადებაში კომუნისტებთან ერთად მონაწილეობდა უპარტიო ინჟინრებისა და სტახანოველების დიდი ჯგუფი.

კრებაზე დამსწრე უპარტიოებმა, რომლებიც მოწმენი იყვნენ იმ მწვავე მსჯელობისა, რაც წარმოების საჭირბოროტო საკითხის გამო გაჩაღდა, თვითონაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს კამათში. უპარტიო სპეციალისტმა ე. კალბოესკიმ აღნიშნა, რომ საწარმოს ნორმალურ მუშაობას დიდად უშლის ხელს ნედლეულით არაწესიერი მომარაგება, რაც გამოწვეულია ტექნიკური მომარაგების განყოფილების უხეირო მუშაობით, საამქროები ნედლეულს თითქმის ყოველთვის იღებენ თვის მეორე ნახევარში, რის გამო ირღვევა რიტმული მუშაობა. ეს უარყოფითად მოქმედებს როგორც პროდუქციის გამოშვების რაოდენობაზე, ისე ხარისხზე და შრომის ნაყოფიერებაზე. ასევე საქმიანად გამოვიდა მრავალი კომუნისტი და უპარტიო.

კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო კონკრეტული დადგენილება. დადგენილებაში გათვალისწინებულ იქნა უპარტიო ამხანაგების წინადადებებიც.

ცხადია, ასეთი მუშაობა ხელს უწყობს უპარტიოთა აქტივობის ზრდას. პარტიულ კრებებზე უპარტიო აქტივისტები სწავლობენ საერთო საქმისადმი პარტიულ, სახელმწიფოებრივ მიდგომას, აფართოებენ თავიანთ ჰორიზონტს.

პარტბიურო მრავალი საკითხის გადაჭრის დროს ბჭობს უპარტიოებთან. ტექნიკური კონფერენციის მომზადებაში, რომელიც იანვრის ბოლოს გაიმართება, ათობით უპარტიო ამხანაგია ჩაბმული. ბევრ მათგანს დავალებული აქვს მოხსენების გაკეთება. ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ასათიანი ამზადებს მოხსენებას თემაზე „ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირში“, კაპიტალური მშენებლობის უფროსი ა. ლიტვინოვი — „ტექნიკის განვითარების ისტორია ჩვენს სამშობლოში“, მთავარი ბუხჰალტერი ბ. ბაგინკი — „ფინანსები და კრედიტები სსრ კავშირში“ და სხვ.

პარტიული ორგანიზაციის უნარიანი მუშაობით უპარტიო აქტივისტების რიცხვი ქარხანაში განუწყვეტლივ იზრდება. საწარმოს კომუნისტები მუშებთან, ინჟინერ-ტექნიკოსებთან და მოსამსახურეებთან ყოველდღიური ურთიერთობის დროს ამჩნევენ ნიჭიერ, უნარიან ადამიანებს და აბამენ მათ აქტიურ მუშაობაში. ზეინკალი ი. ჯიქია წინათ შეუმჩნეველი იყო ლითონკონსტრუქციის საამქროში. კომუნისტი აგიტატორის საუბარმა ლითონის სწრაფად დამუშავების მეთოდზე ჯიქიას აღუძრა სურვილი გამხდარიყო ჩქაროსანი. მან ტრანსპორტიორის დამჭერი საყრდენის დამზადებისას ორი პროცესი გააერთიანა, რისთვისაც ტვიფრს სპეციალური სამარჯვი გაუკეთა და ამით შრომის ნაყოფიერების გადიდებასთანერთად წარმოებას 12.600 მანეთი დაუზოგა.

საამქროს პარტორგანიზაციამ სთხოვა ამხ. ჯიქიას გამოსულიყო მუშათა წინაშე და მათთვის თავისი მუშაობის მეთოდი გაეზიარებინა. მან კარგად შეასრულა ეს დავალება. ახლა ამხ. ჯიქია ერთ-ერთი მოწინავე აგიტატორია. პარტბიურო თავის პირდაპირ დანიშნულებად თვლის უპარტიოებისადმი დახმარებას, მათთვის რჩევის მიცემას, მიუთითებს შეცდომებზე და გაბედულად იყენებს მათ მუშაობაში.

მაგრამ აქტივი არა მარტო პრაქტიკულ საქმიანობაში სწავლობს და იზრდება. პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს უპარტიო აქტივისტების პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოებას. უპარტიო მუშები, ინჟინერები, ტექნიკოსები კომუნისტებთან ერთად სწავლობენ პარტიული განათლების ქსელში. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის 3 წრესა და ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელ ათ წრეში მრავალი უპარტიო იმაღლებს თეორიული მომზადების დონეს. ყანგბადის საამქროს ლაბორანტი ლილი ფხაკაძე დამოუკიდებლად ეუფლება ბოლშევიზმის ისტორიასა და თეორიას. მან საუკეთესოდ შეისწავლა მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, ლენინის „რა საკეთოთ?“ და „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. თეორიის შესწავლის საქმეში ასევე გამოირჩევიან უპარტიო მუშაკები გ. ვაშაკიძე, ა. შევჩენკო და სხვები.

უპარტიო აქტივთან მუშაობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის რიგების ზრდისათვის. უკანასკნელ ხანებში პარტიაში მიღებულ იქნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები — მსხმელები ა. კოხია, ვ. ზარქუა, ზეინკალი გ. შალიკიანი და სხვები. ისინი გამოიზარდნენ პოლიტიკურად, გამოიბრძმედნენ ორგანიზაციულ მუშაობაში.

გასული წლის 7 სექტემბერს პარტბიუროს სპეციალურად განიხილა უპარტიო აქტივთან მუშაობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში სხვა საკითხებთან ერთად ჩაიწერა აქტივთან ლექცია-მოხსენებების უფრო ხშირად მოწყობა, ყველა აქტივისტისათვის დავალების მიცემა, პოლიტიკური სწავლების გაძლიერება და სხვ.

ქარხანაში უპარტიო აქტივთან მუშაობა კარგად არის დაყენებული. მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ნაკლი.

მართალია, პარტიული განათლების ქსელში გაერთიანებული არიან უპარტიოებიც, მაგრამ მრავალი უპარტიო ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული თეორიულ სწავლებაში. ასევე შეიძლება ითქვას დავალებათა შესახებ. უპარტიოების ერთ ნაწილს არავითარი დავალება არა აქვს მიცემული, რაც დიდად უშლის ხელს მათს ზრდას. საჭიროა პარტორგანიზაციამ კიდევ უფრო გააუმჯობესოს პოლიტიკური მუშაობა მასებში, რათა შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები მთლიანად აღმოიფხვრას. პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა გააფართოოს აქტივის რიგები, წარმართოს მისი შემოქმედებითი ინიციატივა და იბრძოლოს მასების შეგნებულობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

გ. მეფისაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

თბილისი. 26 კომბინატის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. მექანიკური საამქროს ხარატი ბ. გოგილაშვილი სტახანოვურად მუშაობს და ყოველდღიურ ნორმას 300-400 პროცენტით ახორციელებს. სურათზე: ბ. გოგილაშვილი (მარცხნივ) და ცვლის ოსტატი ო. კორბესაძე საწარმოო პროცესის დამთავრების შემდეგ დაზგიდან ხსნიან კონვეიერის დეტალს.

გაზრდილი საწარმოო დავალების შესასრულებლად

რუსთავი. (საკ. კორ.). წელს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალმა გასულ წელთან შედარებით უნდა გადადიოს ელექტროენერგიის გამომუშავება. გაზრდილი საწარმოო დავალების ღირსეულად შესრულებისათვის ენერგეტიკოსებმა ფართო მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს, მათ შეაკეთეს ტურბინები, ქვაბები, ამწეები და სხვა მოწყობილობანი. მოაგვარეს სათადარიგო ნაწილების ადგილობრივ დამზადება. დაამთავრეს თბოელექტროცენტრალის მეორე ქვაბის შეკეთება. ამასთან ერთად აქ დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადებას. გასული წლის ბოლოსათვის ტექნიკურ წრეებში 60-მდე კაცმა აიმაღლა კვალიფიკაცია, 30 კაცი დაეუფლა ახალ პროფესიას.

ახალი სამეურნეო წლის პირველსავე დღეებში ენერგეტიკოსებმა მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშები გამოავლინეს. ცეცხლფარეშ ა. ჯოჯუას ბრიგადამ ერთ კვირაში დაზოგა 20 ტონა ქვანახშირი და დაკისრებული საქმე 160 პროცენტით შეასრულა. ასეთივე წარმატებანი მოიპოვა უფროსი მემანქანის გ. ბასილაშვილის ბრიგადამ, ელექტრომონტიორებმა ვ. ჩიქოვანმა, ი. კინწურაშვილმა და სხვებმა.

მივაწოდებთ მშენებლობებს მეტ საშენ მასალას

ბაშურის აგურის ქარხნის კოლექტივმა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. მშენებლობებს გეგმის გადამეტებით მივაწოდეთ 569 ათასი ცალი წითელი აგური, ამასთანავე გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება 24,2 პროცენტით.

წელს ქარხნის კოლექტივის წინაშე დასახულია გადიდებული ამოცანა. ჩვენი ქვეყნის მზარდი მშენებლობა ჩვენგან მეტ და მაღალხარისხოვან საშენ მასალას მოითხოვს. წელს ქარხანამ უნდა გამოუშვას 7 მილიონი ცალი წითელი აგური, რაც სამი მილიონით სჭარბობს გასული წლის დავალებას. ამ დავალების წარმატებით განაღდებისათვის ქარხანაში ფართოდ გაიშლება მოსამზადებელი მუშაობა. დამატებით აეაგეთ ოთხი გვირაბისებური აგურის საშრობი, გავაფართოოთ აგურის დასაყალიბებელი საამქრო, საშრობ საამქროში დავდგით უფრო მძლავრი ვენტილატორი. უახლოეს დღეებში დადგამთ აგრეთვე ორთქლის ახალ ქვაბს, რის შემდეგ თიხის დანესტიანება წყლის ნაცვლად ორთქლით იწარმოებს, რაც გაცილებით აამაღლებს პროდუქციის ხარისხს. მიმდინარეობს აგრეთვე თიხის კარიერის სრული მექანიზაციის სამუშაოები და ქარხნის ტერიტორიის მოწყობა.

ყველა ამ ღონისძიებათა განხორციელებით წელს მშენებლობებს გეგმის გადამეტებით მივაწოდებთ მრავალ ასეულ ათას ცალ მაღალხარისხოვან აგურს.

ი. ინგოროყვა

ბაშურის აგურის ქარხნის დირექტორი

სამანქანო-საექსკავატორო საგზურის კოლექტივის წარმატება

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და შრომის სტახანოვური მეთოდების დანერგვის შედეგად თბილისის სამანქანო-საექსკავატორო სადგურმა წარმატებით გაანაღდა ვალდებულება და 1951 წლის გეგმა ვადამდე 26 დღით ადრე შეასრულა. განსაკუთრებით კარგად მუშაობს სადგურის მეორე—წნორისწყლის უბანი. მოწინავე უბნის კოლექტივმა ერთი კუბმეტრი მიწის სამუშაოს ღირებულება 1 მანეთითა და 45 კაპიკით შეამცირა.

სარწყავი არხების მშენებლობაზე მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან და დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მოწინავე მექექსკავატორეები მ. ოსტაპენკო, ა. ბრილი, გ. კორნენკო, პ. სუხაჩევი და სხვები.

ნ. რაზმაძე

თბილისის სამანქანო-საექსკავატორო სადგურის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში

საკოლმეურნეო მოსავლის და შემოსავლის განაწილების წინ

კარგად ამუშავეს 1951 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დაცვის, საწარმოო დისციპლინისა და მოწინავე აგროტექნიკის დანერგვის საფუძველზე აქ განუწყვეტლივ ადიდებენ მარცვლეულის, ჩაის, სხვა კულტურების ფართობს და მოსავლიანობას, წინ მიჰყავთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციებისა და მარცვლეული კულტურების ფართობი აყვანილია 400 ჰექტარამდე, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ფრინველის რაოდენობა 2 ათასამდე. დიდი რაოდენობით მოშენებულია აგრეთვე ფუტკარი, თხა და ღორი.

საზოგადოებრივ შრომაში მრავალმა კოლმეურნემ ისახელა თავი. 70 წლის ალექსანდრე იოსელიანმა 1951 წელს 223 შრომადღე გამოიმუშავა. ასევე აღსანიშნავია ს. ჩიქოვანის, პ. ვარდანიძის, ფ. ჩიხლაძის, ვენერა ვარდანიძის, ქეთო ჩიხლაძის, თინა ედიბერიძისა და სხვათა სტახანოვური მუშაობა.

წინათ კოლმეურნეობაში არ ითესებოდა ხორბალი, ღომი, ერთწლიანი ბალახები და ლობიო. 1951 წელს კი ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთეს. სოფ. წინათ სათესლეადაც არ ჰყოფნიდათ, ახლა კი 26 ტონა მოიყვანეს, ჩაის ფოთლის მოსავალი ჰექტარზე 500 კილოგრამით გადიდეს. დიდი წარმატებით არის შესრულებული კოლმეურნეობაში მეცხოველეობის როგორც სულადობის, ისე პროდუქტიულობის გეგმები. საკმაზე მეტი რაოდენობით დაამზადეს თივა, ჩალა, სილოსი, საფურაჟე მარცვლეული. ვადამდე განაღდებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები.

კოლმეურნეობის ეს წარმატებანი მოპოვებულია მოწინავე აგროტექნიკისა და ზოოტექნიკის, სოციალისტური მიწათმოქმედების მაღალი კულტურის დანერგვით.

კოლმეურნეთა თითქმის ნახევარი სტახანოველია. მარტო ერთი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში აგებულია 4 წისქვილი, რომლებიც სხვა სოფლებსაც ემსახურება, თესლისა და მინერალური სასუქების საწყობები, სასიმინდეები, სამქედლო, სახელოსნო, კლუბი, მარანი, გარაჟი, აბანო, საპარიკმახერო, ფერმებისათვის სტანდარტული და კაპიტალური სადგომები, 4,5 კილომეტრის მანძილიდან გამოყვანილია სასმელი წყალი, გაკეთებულია სამანქანო გზა, დამთავრებულია ორსართულიანი კანტორის შენობა, მესრით შემოღობილია ეზო. მშენებლობებზე ძირითადად გამოყენებულია ადგილობრივ დამზადებული სამენი მასალა.

კოლმეურნეობაში ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები შემცირებულია 1,5 პროცენტამდე.

კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ და გამგეობამ მოსავლისა და შემოსავლის სამოლოო განაწილების წინ კვლავ დაბუსტეს შრომადღეების დარიცხვა და წიგნაკებში ჩაწერა. სარევიზიო კომისიამ ყურადღება მიაქცია საფინანსო დისციპლინის დაცვას, საკოლმეურნეო სახსრების ძოკვირნედ გამოყენებას. კოლმეურნეობაში დროზე დამთავრდა მთელი ქონებისა და ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ კოლმეურნეებმა საკმაო რაოდენობით გამოჰყვეს სათესლე სიმინდი, ლობიო და სხვ., შექმნეს სათესლე და საფურაჟე-სადაზღვევო ფონდები წლიური საჭიროების 15 პროცენტის რაოდენობით. გამოჰყვეს ფონდები ინვალიდების, მოხუცების, დროებით შრომის უნარდაკარგულების ოჯახების დასახმარებლად და სამავშვო ბაღების შესანახავად საერთო პროდუქციის ორი პროცენტის რაოდენობით. მოუსავლიანობის შემთხვევისათვის სასურსათო და სადაზღვეევო ფონდში შენახულია 20 ტონა სიმინდი, ამავე შემთხვევისათვის შექმნილია 11 ტონა ფურაჟის ფონდი. შრომისუნარდაკარგულებისათვის გამოყოფილია 3 ტონა მარცვლეული.

ყველა ვალდებულების განაღდებისა და ფონდების შექმნის შემდეგ კოლმეურნეობა მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების მთელ დანარჩენ რაოდენობას შრომადღეებზე ანაწილებს. შრომადღეზე გაიცემა 13 მანეთი (სულ 930 ათასი მანეთი), 4 კილოგრამი სიმინდი და მნიშვნელოვანი რაოდენობით ყველი, თაფლი, ღვინო და ლობიო.

კოლმეურნე ა. ვარდანიძის ოჯახი, რომელიც 4 სულისაგან შედგება, შრომადღეებზე მიიღებს 6 ტონა სიმინდს, 7 ფუთ ყველს, 3,5 ფუთ თაფლს, 8 ფუთ ღვინოს, 6 ფუთ ლობიოს. მიიღებს ფულსაც (ავანსად მიღებული აქვს 12 ათასი მანეთი). ასეთი ოჯახი კოლმეურნეობაში მრავალია.

კოლმეურნეობაში უკვე გაჩაღებულია მუშაობა წლიური ანგარიშის შეადგენად. კოლმეურნეები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე პირუტყვის გამოზამთრებას და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხებს. ყველა ფერმა დათბუნებულია. სადგომებთან მიტანილია საკვები. მომარაგებულია 22 ტონა საფურაჟე სიმინდი. საგაზაფხულოდ მინდვრებში დიდი რაოდენობით არის გატანილი ნაკელი, მოხნულია 200 ჰექტარი მზრალი, მიმდინარეობს 36 ჰექტარი ახალი მიწის გაწმენდა და დამუშავება.

ქვილიშორელი კოლმეურნეები (თავმჯდომარე გ. იოსელიანი) პირობას იძლევიან წელს 20-დან 50-მდე პროცენტით გაადიდონ თვითეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, გაიმაღლებესონ ფერმებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გაზარდონ პროდუქტიულობა, მნიშვნელოვნად გაადიდონ საზოგადოებრივი მეურნეობა, უფრო მდიდარი, ბარაქიანი და კეთილმოწყობილი გახადონ საკოლმეურნეო სოფელი.

ტ. თოდრაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ბათუმელი მილიონერები

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩაისა და ციტრუსებს. მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების დანერგვით კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მოიყვანეს, ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 3.245 კილოგრამი, ანუ წინა წელთან შედარებით 312 კილოგრამით მეტი. ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 4.216 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოიყვანა, ხოლო ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში 144 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 3.745 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლია მიღებული.

რაიონის კოლმეურნეობებს გაშენებული აქვთ 1.600-მდე ჰექტარი ციტრუსოვანთა ბაღები. გასული წლის შემოდგომაზე 660-მდე ჰექტარზე გაშენდა ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი.

1950 წელს კოლმეურნეობებმა მხოლოდ ჩაით და ციტრუსებით 30.067.731 მანეთი მიიღეს. გასული წლის შემოსავალი 31.962.193 მანეთს აღწევს. ბათუმის რაიონში 23 კოლმეურნეობაა. მათგან 17 მილიონერია.

ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი გასულ წელს 5.554.000 მანეთს აღწევდა. კოლმეურნეებმა 1950 წელს შრომადღეზე 25 მანეთი და 60 კაპიკი მიიღეს. წელს 30 მანეთამდე მიიღებენ. შრომადღეებზე 26 მანეთზე მეტს მიიღებენ აგრეთვე ჩაისუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

გასულ წელს ბარაქიანად ესხა ხეხილის ბაღებს. კოლმეურნეობებმა თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს, გაზარდა სიმინდის მოსავლიანობაც.

რაიონის კოლმეურნეობებს ამჟამად გეგმის გადაჭარბებით 3.521 სული ცხვარი და თხა ჰყავთ. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა. საკოლმეურნეო ფერმებში მკვეთრად გაიზარდა პროდუქტიულობა. შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 615 ლიტრი რძე.

მთელ რიგ სოფლებში წარმატებით მიმდინარეობს მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია. პირუტყვისათვის შენდება ახალი თბილი ბოსლები.

სარფი, გონიო, ახალსოფელი, ჭარნალი, თხილნარი, მახო, აჭარისაღმართი, ჩხუტუნეთი, ხელვაჩაური და მრავალი სოფელი ილიჩის ნათურებით არის განათებული. შარშან კოლმეურნეებმა დაამთავრეს ჰიდროელექტროსადგურის — მახობელის მშენებლობა, რომელიც ექვსი კოლმეურნეობის მშრომელთ აწვდის ელექტროდენს. მთელ რიგ სოფლებში აშენდა ახალი სკოლები. სოფელ ჩხუტუნეთის, აგარისა და ხელვაჩაურის კოლმეურნეთა შვილები ახლად აგებულ კეთილმოწყობილ სკოლებში მეცადინეობენ.

წიგნი კოლმეურნეთა საყვარელი მეგობარი გახდა. რაიონის მშრომელთ 26 ბიბლიოთეკა და სამკითხველო უწევს მომსახურებას. ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი 50 ათას ეგზემპლარს აღემატება. ახლო მომავალში რაიონის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდს კიდევ 10 ათასამდე სხვადასხვა პოლიტიკური, მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულარული წიგნი შეემატება.

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში მტკიცედ მკვიდრდება რადიო. რაიონში მიმდინარეობს სოფლების მთლიანი რადიოფიკაციის სამუშაოები. ამჟამად რადიომმსახურებით უზრუნველყოფილია შვიდი კოლმეურნეობა.

ბათუმელები მომავალზე ფიქრობენ. მოუთმენლად ელიან აჭარაში დიდი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის — მაჭახელჰესის ამუშავებას, რომელიც მთელ რაიონს უზრუნველყოფს ელექტროგანათებით. მალე ახლად აგებული კეთილმოწყობილი კლუბებისა და კულტურის სახლის შენობები უფრო დაამშვენებენ გონიოს, კახაბერს, ახალშენსა და სხვა სოფლებს.

კოლმეურნეები ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენებისათვის ემზადებიან. 1955 წელს ხელვაჩაურელები 191 ჰექტარზე დაკრეფენ ლიმონს, მანდარინსა და ფორთოხალს, ხოლო მთელ რაიონში ციტრუსების ფართობი 4 ათას ჰექტარს გადაამეტებს. 400 ჰექტარით გაიზრდება აგრეთვე ჩაის პლანტაციები.

ბათუმელ მშრომელებს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის ახალი აღმავლობის საქმეში.

დ. პაიჭაძე
ბ. ლოლთქიფანიძე

საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის პლენუმი

სიღნაღი. (საკ. კორ.). შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის პლენუმი. რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ალავერდაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. თარალაშვილმა, ალაზნის მტს-ის დირექტორმა პ. გელაშვილმა, დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანმა რ. ჯავაშვილმა, განათლების განყოფილების გამგემ პ. ნადირაძემ, ხირსის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა დ. შარაშიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ზ. ბიძინაშვილმა, წყალთა მეურნეობის ალაზნის არხის სისტემის სამმართველოს უფროსმა ი. ჯიბღაშვილმა და სხვებმა.

პლენუმმა ამხ. მ. ალავერდაშვილი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გააათავისუფლა რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. დ. მახარაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ფოფხაძემ.

სოციალისტური ქონების დაცვის საკითხი პარტიის რაიკომის ბიუროზე

ამ დღეებში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის პოლოტოვის რაიკომის ბიუროს განიხილა თბილისს უნივერმაღში სოციალისტური ქონების დაცვის მდგომარეობის საკითხი.

უნივერმაღის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. პირტახია) სუსტად იბრძვის სოციალისტური ქონების დაცვისათვის, დაბალ დონეზე დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა დახლის მუშაკთა შორის, ნაკლები ყურადღება ექცევა საჩივრებს, სიგნალებს, უხეშად ირღვევა კადრების შერჩევისა და მომზადების საქმე, ზოგჯერ სამუშაოზე იღებენ სოციალისტური ქონების განიავებისათვის პასუხისგებაში ნამყოფ პირებს, ნაკლებად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ასეთი მდგომარეობის შედეგად უნივერმაღში და მის მაღაზია-ფილიალებში გამრავლდა სახელმწიფო ქონების დატაცება - განიავების შემთხვევები. № 505 კიოსკის გამყიდველმა თ. ჯინჭარაძემ 27.000 მანეთი გაფლანგა და გაანიავა, № 58 კიოსკის გამყიდველმა ვ. უსანეთაშვილმა — 28.000 მანეთი, ხოლო № 1 ფილიალის კიოსკის პასუხისმგებელმა გამყიდველმა ი. კიზირიამ — 70.000 მანეთი. აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნული პირი წარსულში მიცემული იყო პასუხისგებაში, როგორც სოციალისტური ქონების დამტაცებელი.

უნივერმაღლის შიმონუბები და რევიზიები ეწყობოდა ფორმალურად, დამნაშავეთა მიმართ წაყრუებით. კარძოდ, როცა № 58 კიოსკში მოეწყო რევიზია, გამყიდველ ვ. უსანეთაშვილს 283 მანეთი ზედმეტი აღმოაჩნდა (რევიზია მოახდინეს ბუხჰალტერმა გ. ტატანაშვილმა და საქონლისმცოდნე ტ. ბაბალოვმა). იმავე დღეს აღნიშნულ კიოსკში სხვა რევიზიამ 28.600 მანეთის გაფლანგვა გამოავლინა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა მაღაზიებსა და კიოსკებში.

დაუდევრად, უპასუხისმგებლოდ მოქმედებდნენ რევიზორები, ბუხჰალტერები კ. ჩაჩანიძე, ჯ. კაჩეიშვილი, ე. ვოსკობოინიკი და სხვ. უხეშად ირღვეოდა საფინანსო დისციპლინა. უნივერმაღის მთავარი ბუხჰალტერი ი. თოხაძე თანამდებობას ბოროტად იყენებდა, ითვისებდა სახელმწიფო თანხებს, ხელს უწყობდა გამფლანგველებს.

პარტიის რაიკომის ბიუროს დადგენილებით უნივერმაღის მთავარი ბუხჰალტერი ი. თოხაძე მოხსნილია სამუშაოდან და მიცემულია პასუხისგებაში. სამუშაოდან მოხსნილი არიან ბუხჰალტერ-რევიზორები და საქონლის მცოდნეები კ. ჩაჩანიძე, გ. ტატანაშვილი, ჯ. კაჩეიშვილი, ლ. პისარევი და ე. ვოსკობოინიკი.

უნივერმაღის დირექტორს ამხ. კ. გამეზარდაშვილსა და პარტბიუროს მდივანს ამხ. ა. პირტახიას პარტიული სასჯელი დაედოთ.

რაიკომის ბიურომ დასახა დახლის მუშაკთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, სოციალისტური ქონების დაცვის გაძლიერების კონკრეტული ღონისძ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიის მუშაობა

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული მოქმედება და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა

პარიზი, 12 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). გუშინ გენერალური ასამბლეის პლენუმმა განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის საკითხი.

როგორც ცნობილია, ეს საკითხი გენერალური ასამბლეის განსახილველად დაისვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მოთხოვნით. საქმე ეხებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წლის 10 ოქტომბრის კანონის გამოცემას, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის ასიგნებას სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობის დასაფინანსებლად, სამშობლოს მოღალატეებისაგან, გამცემლებისა და სხვა ნაძირალებისაგან შეიარაღებული ჯგუფების შესაქმნელად ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის მიერ ამ კანონის დაგმობას და ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ამ კანონის გასაუქმებლად.

პოლიტიკური კომიტეტის ის სხდომები, რომლებზეც განიხილავდნენ საბჭოთა კავშირის საჩივარს, მოგვაგონებდნენ სასამართლოს, სადაც საბრალდებო სკამზე იჯდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენელი დელეგაცია. კამათის დროს სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბელორუსიის სს რესპუბლიკისა და უკრაინის სს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებიც ემყარებოდნენ მრავალ ფაქტს, დოკუმენტებს და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ მოღვაწეთა ოფიციალურ განცხადებებს, ცხადყვეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული კანონი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ელემენტარული საფუძვლების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1933 წლის 11 ნოემბრის შეთანხმების უმაგალითო დარღვევას. მათ ცხადყვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აწყობენ ომს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ფარულ ფრონტზე, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში უმაგალითო ცინიზმით აშკარად უჭერენ მხარს და აფინანსებენ დივერსიულ, ტერორისტულ და ჯაშუშურ საქმიანობას, რომელიც მიმართულია სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

პოლიტიკურ კომიტეტში გამართულმა დისკუსიამ საკმაოდ ნათლად დაადასტურა ის ბრალდებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა წაუყენა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას. ამიტომ დელეგაციათა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რაც დელეგაციათა მთელი შემადგენლობის დაახლოებით მესამედს შეადგენს, უარი თქვა მხარი დაეჭირა ამერიკის შეერთებული შტატების ცდებისთვის — როგორმე გაემართლებინათ თავი და მოეხსნათ ეს ბრალდებანი.

გუშინდელ პლენარულ სხდომაზე საბჭოთა კავშირმა კვლავ წამოაყენა განსახილველად თავისი წინადადება, რომ დაგმობილ იქნას 1951 წლის 10 ოქტომბრის დანაშაულებრივი კანონი და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გაუქმოს ეს კანონი.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა სეკანინოვამ და პოლონეთის დელეგაციის მეთაურმა ვერბლოვსკიმ კენჭისყრის მოტივებზე თავიანთ გამოსვლებში მტკიცედ დაუჭირეს მხარი საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადებას. მოიყვანეს რა მთელი რიგი ახალი ფაქტები, მათ ცხადყვეს აგრესიული ხასიათი ამ კანონისა, რომელიც ნამდვილ საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ამიტომ არ შეიძლება მას მტკიცე წინააღმდეგობა არ გაუწიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს ხალხთა უშიშროება.

უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა ა. ბ. ბარანოვსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ „1951 წლის კანონის" მიღება წარმოადგენს უხეშ ჩარევას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, რაც უპრეცედენტოა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ამერიკის რეაქციულმა პრესამაც კი, რომელიც ჩვეულებრივ არ აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოქმედებას, ვერ უარყო ამ კანონის აშკარა აგრესიული ხასიათი და იძულებული იყო ელიარებინა, რომ გენერალური ასამბლეის დელეგაციათა დიდმა ნაწილმა პოლიტიკურ კომიტეტში საბჭოთა რეზოლუციისთვის ხმის მიცემით არ მოიწონა საერთაშორისო პრაქტიკაში ეს უმაგალითო კანონი.

იმ 11 ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომელთა მოსახლეობა 571 მილიონს შეადგენს, თქვა ბარანოვსკიმ, პოლიტიკურ კომიტეტში თავი შეიკავეს კენჭისყრისაგან, რაც თავისთავად უკვე წარმოადგენს ხსენებული ამერიკული კანონის დაგმობას და დიქტატის იმ პოლიტიკისათვის სერიოზული ლაბვრის ჩაცემას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. თუ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის იმ საკითხის განხილვისას, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ დასვა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაინც მოახერხეს პოლიტიკურ კომიტეტში უარეყოთ სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუცია, ეს მიღწეულია მხოლოდ უხეში ზეგავლენით.

ბარანოვსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის სსრ დელეგაციას მრავალი ფაქტის საფუძველზე უდაოდ დამტკიცებულად მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული „1951 წლის კანონი" წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ აქტს და უმაგალითო ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. ეი ამიტომ უკრაინის სსრ დელეგაცია ხმას მისცემს ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილი რეზოლუციის პროექტს.

„1951 წლის კანონის" დასაბუთებული და ფაქტებით განმტკიცებული კრიტიკით გამოვიდა ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ვ. კისელიოვი. მან აღნიშნა, რომ ეს კანონი, რომელიც ითვალისწინებს 100 მილიონი დოლარის ასიგნებას შეიარაღებული ჯგუფების შეგროვებისა და მოწყობისათვის საბჭოთა კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და ამ ქვეყნებში ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობა, ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის აგრესიულ არსს.

უხეშად არღვევს რა საერთაშორისო სამართალს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და საერთაშორისო თანამშრომლობის ნორმებს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ცდილობს მოღალატეების, გამცემლებისა და სხვა ნაძირალების ბანდების დახმარებით მოაწყოს ფარული ფრონტზე ომი საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. ეს აქტი მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ბელორუსიის სსრ დელეგატმა მტკიცე პასუხი გასცა ფილიპინების წარმომადგენლის ცდას, რომ ამერიკის „1951 წლის კანონის" აგრესიული არსისათვის ასამბლეის ყურადღება ჩამოეშორებინა უკვე დიდიხნის წინათ მხილებული ცილისმწამებლური ჭორით საბჭოთა კავშირის შესახებ. ბელორუსიის სსრ დელეგაცია, თქვა კისელიოვმა, ხმას მისცემს სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შემოტანილ რეზოლუციას, რომელიც მოითხოვს ამერიკის „1951 წლის კანონის" დაგმობას და ურჩევს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიიღოს საჭირო ღონისძიებანი ამ კანონის გასაუქმებლად.

ამერიკის 10 ოქტომბრის კანონი ტერორისტული კანონია. მისი მიზანია ტერორისტული აქტების ჩადენა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საზოგადოების ნაძირალების — როგორც სწორად უწოდა მათ ბელორუსიის დელეგატმა,— სამშობლოს მოღალატეებისა და გამცემლების დახმარებით. ჩვენ გვეუბნებიან: თქვენ ყველას გამცემს უწოდებთო. ეს მართალი არ არის. ჩვენ ყველას ასე არ ვუწოდებდით და არ ვუწოდებთ. ჩვენ ვიცით, რომ მათ შორის, ვინც სსრ კავშირში ამა თუ იმ მიზეზით არ დაბრუნებულა და ამჟამად სხვადასხვა ქვეყანაში რჩება, არიან დიდი ჯგუფები, ამავე პარიზში, საფრანგეთში არის ათასობით ადამიანი, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც დანაშაულს არ ჩაიდენენ სამშობლოს წინააღმდეგ, აქტიურად იბრძოლებენ ამ პროვოკატორული ტერორისტული, დივერსიული, საერთაშორისო ურთიერთობაში უმაგალითო კანონის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა 1951 წლის 10 ოქტომბერს. მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ეს კანონი ეყრდნობა გამცემლებს, მოღალატეებს, ყოველგვარ კრავჩენკოებსა და კომპანიას. მათ აგროვებენ იმისათვის, რომ იბრძოლონ, მათ აძლევენ გარკვეულ დროშას და საღაშქროდ გზავნიან ეგრეთწოდებული „ევროპის თავისუფლებისათვის". და ჩვენ ვიცით, თუ რა „თავისუფლებაა" ეს!

ბ-ნმა მენსფილდმა აქ თქვა: რატომ არ შეუძლიათ ამ ადამიანებს იბრძოლონ ამ ქვეყნის წინააღმდეგ, საიდანაც გამოიქცნენ? ეს მან თქვა აქ მთელი ასამბლეის წინაშე. მაგრამ ეს წარმოადგენს იმ ბრალდების პირდაპირ დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც წაყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, ბრალდებისას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული 1951 წლის 10 ოქტომბრის კანონი წარმოადგენს ისეთ კანონს, რომელიც ითვალისწინებს ძირგამომთხრელი, ტერორისტული და დივერსიული საქმიანობის მოწყობას რაღაც „ევროპის თავისუფლების" ყალბი ლოზუნგით.

კერსტენი 17 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში ამბობდა: „ჩემი შესწორება ითვალისწინებს იმ არალეგალური ორგანიზაციებისათვის დახმარების გაწევის შესაძლებლობას, რომლებიც შესაძლოა არიან ამ ქვეყნებში ან შეიძლება გამოჩნდნენ ამ ქვეყნებში". შემდეგ კერსტენი ამბობდა, რომ „ეს დახმარება ის იქნება, რომ განხორციელებულ იქნას აღნიშნულ ქვეყნებში არსებული ახლანდელი კანონიერი მთავრობების დამხობის პირდაპირი მიზანი". იგი ამბობდა: „ჩვენ დახმარება უნდა გავუწოთ, — ეს მან თქვა 25 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატაში,—იმას, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი მოჭალაქეებისაგან, რომლებიც რკინის ფარდის იქიდან გამოიქცნენ ან რომლებიც მომავალში გამოიქცევიან, ჩამოყალიბდეს ეროვნული სამხედრო შენაერთები, რათა ისინი შეეფეთქნათ ევროპის არმიაში". კერსტენმა მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატას აუხსნა თავისი შეშფოთების მიზეზი, რომელმაც აიძულა ყოველი ღონე ეხმარა, რათა არ დაეშვა გენერალურ ასამბლეაში კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულობის იმ კოდექსის განხილვა, რომელზეც უკვე ვლაპარაკეთ.

კერსტენი ამბობდა, რომ რეალური განმათავისუფლებელი მოძრაობის,—მას მხედველობაში ჰქონდა ფარული მოძრაობა, რომელიც წელან მოვიხსენიე და რომელზეც აქ ლაპარაკია,—ერთერთი მთავარი მიზანია შიშის დანერგვა მოსახლეობაში. ეი მისი სიტყვები: „განთავისუფლება მიღწეულ იქნება არა მარტო პროპაგანდიით ან პარლამენტის მანევრებით. იგი მოითხოვს ძლიერ მოქმედებას სათანადო დროს".

განა ყოველი წესიერი ადამიანისათვის ცხადი არ არის, თუ რაზეა აქ ლაპარაკი? განა უფლება არა გვაქვს აქ ვლაპარაკოთ იმაზე, რომ საქმე ეხება სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირე სახელმწიფოების ტერიტორიაზე ბანდიტების, მოღალატეებისა და გამცემლებისაგან, რომლებიც ჩვენი ქვეყნიდან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გაიქცნენ, შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბების იმისათვის, რომ თავის დროზე ისინი ჩვენს ტერიტორიას მოუსინონ დივერსიული და ტერორისტული აქტების შესასრულებლად, რომ დაწვან, დანგრიონ, აფეთქონ ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები, რომ დახოცონ ჩვენი საუკეთესო ადამიანები...

აი რა არის 10 ოქტომბრის კანონი. და ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადასინჯოს ეს საქმე, რომ თვითონ თქვენ გაუქმოთ ეს კანონი. ჩვენი რეზოლუცია გენერალური ასამბლეის მეშვეობით მიმართავს ამერიკის შეერთებულ შტატებს სწორედ ამ მოთხოვნით, ისე როგორც ამავე დროს საბჭოთა მთავრობამ უკვე გაუგზავნა ორი ნოტა ამერიკის მთავრობას ამის გამო, მაგრამ დღემდე ვერ მიიღო, ყოველ შემთხვევაში, პირველ ნოტაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი, ხოლო მეორე ნოტაზე, რომელიც ამ დღეებში წარედგინა, რა თქმა უნდა, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მიიღებს.

ასეთია, ბატონებო, ეს სამარცხვინო საქმე, და სირცხვილია აქ ასეთი სამარცხვინო საქმის დაცვა.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უნდა გაუქმოს ეს თავისი კანონი, თუ იგი მართლაც ესწრაფვის თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან და, კეთილ, სიბეჯითა კავშირთან, რაზეც აქ ესოდენ ბევრს ლაპარაკობენ ამერიკის დელეგატები. თუმცაღა, ყოველივე, რასაც აქ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია აკეთებს, იმას მოწმობს, რომ ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ საერთაშორისო თანამშრომლობაზე, მაგრამ ასეთი თანამშრომლობით სრულიადაც დაინტერესებული არ არიან.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ბ-ნ მენსფილდთან ჩემს საუბარზე.

მართლაც, პოლიტიკური კომიტეტის იმ სხდომის შემდეგ, რომელზეც ირჩიდა ამერიკის 1951 წლის 10 ოქტომბრის კანონის საკითხი, ბ-ნმა მენსფილდმა მკითხა, ჩემს სიტყვაში მჭონდა თუ არა მხედველობაში უნგრეთში დაკავებული ამერიკელი მფრინავების შემთხვევა?

მე უარყოფით ვუპასუხე ამ კითხვაზე და განვმარტე, რომ გამოთქვი პრინციპული თვალსაზრისი ამერიკის თვითმფრინავების მიერ საბჭოთა კავშირის საზღვრების დარღვევის შესახებ.

ბ-ნ მენსფილდის შემდეგ კითხვაზე, თუ ვინ გასამართლებს უნგრეთის ტერიტორიაზე დაკავებულ ამერიკელ მფრინავებსო, მე ვუპასუხე, რომ სამართალში მიცემა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის მიხედვით განისაზღვრება დანაშაულობის ჩადენის ადგილით, რომ ბრალდებულთა გასამართლებს ის სასამართლო, რომელიც იმყოფება იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩადენილი იყო დანაშაული. მე ვთქვი, რომ რამდენადაც ამერიკელი მფრინავები ამ შემთხვევაში დაკავებული არიან უნგრეთის ტერიტორიაზე, ისინი ექვემდებარებიან უნგრეთის სასამართლოს. ამიტომ სრულიად გაუგებარია, როგორ შეეძლო ბ-ნ მენსფილდს დაემახინჯებინა ჩვენი საუბარი და საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს მასთან საუბარში [illegible] მთავრობის და ამა ჩვენი სახელით, თუმცა [illegible] პირდაპირ კითხვაზე ამის გამო მაშინვე განვუცხადე ბ-ნ მენსფილდს, რომ ელაპარაკობდი ჩემი სახელით.

მე მართლაც, დავუდასტურე ბ-ნ მენსფილდს, რომ თუ ამერიკის თვითმფრინავები საბჭოთა ტერიტორიაზე იფრენენ დაზვერვის მიზნებით, ჩვენ ამას არ დავუშვებთ და ისე ვიმოქმედებთ, როგორც წინათ ვმოქმედებდით. მე მხედველობაში მქონდა ამერიკის ის თვითმფრინავი, რომელმაც ჩვენი საზღვარი დაარღვია ლიბავის მახლობლად.

როცა ბ-ნმა მენსფილდმა ის მოიშველიერა, რაც ნამდვილად არ ყოფილა, მან მხოლოდ ბეშმარიტება დაამახინჯა.

მაგრამ მთელი ეს საუბარი მენსფილდთან, როგორც თავისთავად გასაგებია, რა თქმა უნდა, მეათეხარისხოვანი საქმეა. შეიძლებოდა არ მიგვექცია ამ საუბრისათვის ასამბლეის ყურადღება, მენსფილდს რომ არა ჰქონოდა განზრახვა საზოგადოებრივი ყურადღება ჩამოეშორებინა ისეთი სერიოზული საკითხისათვის, როგორიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ჩარევა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების დარღვევით, როგორიც არის იმ სამარცხვინო კანონის საკითხი, რომელიც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობის დაფინანსებას.

• • •

მას შემდეგ, რაც გამოვიდა საბერძნეთის წარმომადგენელი, რომელიც ცდილობდა გაეკეთებინა ანტისაბჭოთა ჭორების გამორეკნით ჩამოეშორებინა ასამბლეის ყურადღება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული აგრესიული კანონისათვის, საბჭოთა კავშირის წინადადებას კენჭი უყარეს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ზეგავლენის ყოველი ღონისძიების გამოყენებით ამ წინადადების წინააღმდეგ შეიგროვა $^{2}/_{3}$-ზე ცოტა მეტი ხმა. როგორც პოლიტიკურ კომიტეტშიც, დელეგაციათა დაახლოებით $^{1}/_{3}$ არ მოისურვა ხმა მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. რეზოლუციას ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის და სხვ. დელეგაციებმა. ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, გვატემალის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, პაკისტანის, სირიის, საუდის არაბეთისა და იემენის დელეგაციებმა, ე. ი. შუა და ახლო აღმოსავლეთის და აზიის თითქმის ყველა ქვეყნის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს და ამით ცხადყვეს, რომ მათ დამაჯერებლად არ მიაჩნიათ ის საბუთები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა ბრალდების გასაბათილებლად მოიყვანეს.

ამით დამთავრდა პლენარული სხდომა.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას ასამბლეის განსახილველად შეაქვს მშვიდობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ვრცელი პროგრამა

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლა

პარიზი, 12 იანვარი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს დღისით გენერალური ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა დღის წესრიგის მორიგი პუნქტის—„ახალი მსოფლიო ომის საფრთხის საწინააღმდეგო და ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" საბჭოთა კავშირის დელეგაციის წინადადების განხილვას.

ჯერ კიდევ წინადღეს, აგრეთვე დღევანდელი დილის გაზეთებიდან ფართოდ ცნობილი გახდა, რომ ამ საკითხზე საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ი. ვიშინსკი გამოვიდოდა. ამიტომ პოლიტიკური კომიტეტის სხდომის გახსნამდე დიდი ხნით ადრე საზოგადოებისა და ჟურნალისტების ადგილები სავსე იყო. საზოგადოების ასეთი დიდი ინტერესი საბჭოთა დელეგაციის გამოსვლისა და მისი წინადადებებისადმი ასახავს მშვიდობისაკენ მხურვალე მისწრაფებას, რაც სულ უფრო ფართოდ მოიცავს საფრანგეთის საზოგადოებრივობის სხვადასხვა ფენებს.

დაძაბული ყურადღებით მოსმენილ იქნა ვიშინსკის ვრცელი სიტყვა, რამაც ორ საათს გასტანა. ჟურნალისტები ხშირად ტოვებდნენ დარბაზს, რათა ტელეგრაფით თუ ტელეფონით გადაეცათ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადების ცალკე ადგილები.

ა. ი. ვიშინსკიმ თავის სიტყვაში დაწვრილებით გააშუქა, თუ რა დამღუპველი შედეგები მოსდევს გამალებულ შეიარაღებას, რაც ხორციელდება მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებიც გაერთიანდნენ აგრესიულ ატლანტიკის დაჯგუფებად. ეს გამალებული შეიარაღება იწვევს დაძაბულობას საერთაშორისო ვითარებაში, ხალხთა ფართო მასების გაღატაკებას ამ ქვეყნებში და მათი საარსებო დონის განუწყვეტელ დაქვეითებას. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის გამოსვლას და მის მიერ შეტანილ წინადადებებს, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ატომური იარაღის აკრძალვასა და საერთაშორისო კონტროლის დაწესების შეეხება, დელეგატები და სხდომის დამსწრე საზოგადოება უდიდესი ინტერესით შეხვდნენ.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა მთავრობის სახელით პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად შეიტანა გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შემდეგი პროექტი:

„პირველი. გენერალური ასამბლეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრობასთან შეუთავსებლად აცხადებს აგრესიულ ატლანტიკის ბლოკში მონაწილეობას, აგრეთვე ზოგიერთი სახელმწიფოს და, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების შექმნას სხვის ტერიტორიებზე.

მეორე. გენერალურ ასამბლეას საჭიროდ მიაჩნია, რომ:

ა) კორეაში სამშვიდობო მოქმედების მონაწილე ქვეყნებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ საომარი მოქმედება, დადონ დროებითი ზავი და თავიანთი ჯარები ათი დღის ვადაში უკან დასწიონ 38-ე პარალელიდან;

ბ) უცხოეთის მთელი ჯარები, აგრეთვე უცხოეთის მოხალისეთა ნაწილები გაეყვანილ იქნან კორეიდან სამი თვის ვადაში.

მესამე. მიაჩნია რა ატომური იარაღის, როგორც აგრესიისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის იარაღის გამოყენება ხალხთა სინდისისა და პატიოსნების საწინააღმდეგოდ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი კუთვნილებასთან შეუთავსებლად, გენერალური ასამბლეა აცხადებს ატომური იარაღის უთუო აკრძალვას და ამ აკრძალვის განხორციელებისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, მხედველობაში აქვს რა, რომ ატომური იარაღის აკრძალვა და საერთაშორისო კონტროლი ძალაში შევა ერთდროულად.

გენერალური ასამბლეა ავალებს განიარაღების კომისიას მოამზადოს და უშიშროების საბჭოს 1952 წლის 1 ივნისისათვის განსახილველად წარუდგინოს კონვენციის პროექტი, რომელიც გითვალისწინებს ატომური იარაღის აკრძალვას, მისი წარმოების შეწყვეტის, უკვე დამზადებული ატომური ბომბების მხოლოდ მხოლოდ სამოქალაქო მიზნებით გამოყენების და აღნიშნული კონვენციის შესრულებისადმი სასტიკი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ გენერალური ასამბლეის დადგენილების შესრულების უზრუნველყოფელ ღონისძიებებს.

მეოთხე. გენერალური ასამბლეა ურჩევს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს—ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს—ამ დადგენილების მიღების მომენტისათვის არსებული თანხმობა შეიარაღება და შეიარაღებული ძალები შეამცირონ მესამედით ერთი წლის განმავლობაში ამ დადგენილების მიღების დღიდან.

მეხუთე. გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა, რომ დაუყოვნებლივ და ყოველ შემთხვევაში ატომური იარაღის აკრძალვისა და ხუთი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მესამედით შემცირების შესახებ გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილებათა მიღების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა ყველა სახელმწიფომ წარმოადგინოს სრული ოფიციალური ცნობები თავისი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ, მათ შორის ცნობები ატომური იარაღისა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შესახებ. ეს ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილებათა მიღების შემდეგ არა უგვიანეს ერთი თვისა ყველა სახელმწიფომ წარმოადგინოს სრული ოფიციალური ცნობები თავისი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ, ამავე ვადაში ატომური იარაღის აკრძალვის შესრულებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების პრაქტიკულ ღონისძიებათა შესახებ.

აღნიშნული მსოფლიო კონფერენციის მოწვევა რეკომენდებულ იქნას უახლოეს დროში და ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 1952 წლის 15 ივლისისა.

მერვე. გენერალური ასამბლეა მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს დადონ მშვიდობის პაქტი და გაერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ამ მაღალი და კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

გენერალური ასამბლეა მოუწოდებს აგრეთვე ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს — მიემხრონ მშვიდობის პაქტს".

• • •

ვიშინსკის სიტყვის დამთავრების შემდეგ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი გროსი და დიდი ბრიტანეთის დელეგატი ლოიდი.

გროსმა განაცხადა, რომ შეუძლია გააკეთოს მხოლოდ წინასწარი შენიშვნები, რამდენადაც ჯერჯერობით შესაძლებლობა არა ჰქონია შეესწავლა საბჭოთა წინადადებანი. მიუხედავად ამისა, მან უმაღეე განაცხადა, თითქოს საბჭოთა წინადადებანი ასამბლეას უბრუნებენ უკვე გადაწყვეტილ საკითხებს. გროსის გამოსვლებმა, ისე როგორც მისმა გამოსვლამ ეგრეთწოდებულ კოლექტიურ ღონისძიებათა კომიტეტის მოხსენების გამო საბჭოთა რეზოლუციის პროექტის განხილვისას, ცხადყვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უფრთხიან კორეის საკითხის განხილვას გენერალურ ასამბლეაში. გროსმა თქვა: ასეთ განხილვას შეუძლია ხელი შეუშალოს კორეაში დაზავების შესახებ ამჟამად წარმოებულ მოლაპარაკებასო. როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციებმა უკვე ამხილეს ამ მტკიცების უსაფუძვლობა დღის წესრიგის წინა საკითხის განხილვის დროს.

გროსმა ცხადყო მისწრაფება ჩაშალოს საბჭოთა წინადადებების განხილვა, რომელთა ნამდვილი მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო ვითარებაში არსებული დაძაბულობის აღმოფხვრა და ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცება, განაცხადა რა, რომ ეს წინადადებანი უნდა გადაეცეს განიარაღების ახლადშექმნილ კომისიას.

ბრიტანეთის დელეგატმა ლოიდმა ეს განზრახვა უფრო მეტი გულახდილობით გამოამჟღავნა. მან განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეა თითქოს „შეუფერებელი ადგილია", მაგალითად, ისეთი საკითხის განსახილველად, როგორიც არის ატომური იარაღის აკრძალვა და ხუთი დიდი სახელმწიფოს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება. ამრიგად, ლოიდის განცხადებაში, ისე როგორც გროსის სიტყვაში თავი იჩინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გარკვეულმა მისწრაფებამ ხელი შეუშალონ გენერალური ასამბლეის მიერ გადაწყვეტილების მიღებას ამ ესოდენ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ყველა ქვეყნის ხალხებს ალელვებს.

გროსმა და ლოიდმა ეს ნაჩქარევად ჩამოყალიბებული განცხადებანი გააკეთეს აშკარა მიზნით, რომ მიმართულება მიეცათ იმ ქვეყნების დელეგაციების შემდგომი გამოსვლებისათვის, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დიქტატის მორჩილი არიან.

იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

რომი, 13 იანვარი. (საკუთარი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის რეზოლუცია. რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია ნუოროს და კალიარის პროვინციებში (სარდინიაზე), რეჯო-კალაბრიისა და კატანძაროს პროვინციებში (კალაბრიის ოლქი), სიცილიის კატანიის პროვინციასა და განსაკუთრებით კი პოლეზინის რაიონსა და მდინარე პოს ხეობის სხვა ზონებში ოქტომბერსა და ნოემბერში მომხდარი წყალდიდობის განსაკუთრებული სერიოზულობა იმ უბედურების 2 თვის შემდეგ, რომელიც თავს დაატყდა ამ რაიონებს, ჯეროვანი დახმარება ლტოლვილებისა და დაზარალებულებისათვის მოწყობილი არ არის, არაა ასიგნებული საჭირო აღდგენითი სამუშაოებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს იმ მძიმე პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრება ამასთან დაკავშირებით დე გასპერის მთავრობას. „ამასწინანდელი წყალდიდობა, — ნათქვამია რეზოლუციაში,—არ უნდა იქნას მიჩნეული როგორც საბედისწერო გარდუვალობა, ეს წყალდიდობა უნდა იყოს საგანგაშო სიგნალი, რომელიც მოუწოდებს იტალიას გაერთიანებისაკენ, რათა საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი შეიარაღებისა და იმპერიალისტური ავანტიურების პოლიტიკასთან და დარაზმოს მთელი ძალები, საზარი და უნარი იმისათვის, რომ დაძრას იტალიის ეკონომიკა მკვდარი წერტილიდან და შეუდგეს ახალი ეკონომიური კურსის განხორციელებას“.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის რეაქციული მმართველები უარს აცხადებენ ყველა წინადადებაზე, რომლებიც მოითხოვენ იტალიის მშვიდობიანი აღდგენის პოლიტიკის განხორციელებას, „ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კომუნისტების ბრძოლა ფრთიანობისა და მშვიდობიანი აღდგენის პოლიტიკის მხარს უჭერენ მოსახლეობის ახალი ფენები; ახლანდელი მთავრობის კურსის შეცვლის აუცილებლობის ეს შეგნება თავს იჩენს ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის' გარშემო დაჯგუფებულ ძალთა ბლოკში და იწვევს იმ ბლოკის კრიზისის შემდგომ გაღრმავებას, რაც უკვე საგრძნობი გახდა უკანასკნელი არჩევნების მსვლელობაში. ეს კრიზისი ჯერ კიდევ საკმაოდ აშკარად არ ვითარდება, როგორც ამას მოწმობს ქრისტიან-დემოკრატთა პარტიასთან დაკავშირებული პოლიტიკური ჯგუფებისა და ამ პარტიაში არსებული ფალანგური ფრაქციების უუნარობა — კავშირი გაწყვიტონ ანტიკომუნიზმთან და წამოაყენონ სახელმწიფოს წინაშე ისეთი პოლიტიკური პერსპექტივა, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება იმ პოლიტიკისაგან, რასაც ახლანდელი კლერიკალური მთავრობა ახორციელებს.

ასეთი გაურკვევლობა არევ-დარევას ქმნის წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ზოგიერთ წრეებში, რითაც მონარქისტული და აშკარა ფაშისტური ჯგუფები ცდილობენ ისარგებლონ. იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მიაქცევს რა თავისი ქვეყნის ყურადღებას ამ საფრთხეს დემოკრატიისა და რესპუბლიკისათვის და ამბობს რა იმ პასუხისმგებლობას, რომელიც ეკისრება სოციალ-დემოკრატიულ და ლიბერალურ ლიდერებს, მაინც დარწმუნებულია, რომ იტალიაში შეიძლება შეიქმნას ძალთა ისეთი უმრავლესობა, რომელსაც უნარი ექნება იხსნას იტალია კატასტროფისაგან, საითაც მიჰყავს იგი კლერიკალურ მთავრობას. იტალიის მშვიდობიანი აღდგენისა და მისი ეკონომიური და სამოქალაქო ცხოვრების აღორძინების პროგრამის საფუძველზე. ამ ძალთა შეთანხმება გაუმჯობესებს იტალიაში პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობას. რასაც დღეს მოქალაქეთა სულ უფრო ფართო ფენები მოითხოვენ“.

იტალიის კომპარტიას, დარწმუნებულია რა ამ გაუმჯობესების აუცილებლობაში და იბრძვის რა ამისათვის სოციალისტურ პარტიასთან ერთად, მიაჩნია, რომ ამ გაუმჯობესებისათვის საჭიროა სამი ძირითადი პირობა: 1) ყველა საგანგებო სამხედრო ხარჯის ვადის გადადება, სანამ არ იქნება მიღებული ღონისძიებანი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც იტალიის ეკონომიკასა და მოსახლეობას მიაყენა წყალდიდობამ ჩრდილოეთსა და სამხრეთში; 2) საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ყოველი სხვა ქვეყნის მიმართ საერთაშორისო საქმეებში ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია; 3) პარტიული კუთვნილების ნიშნებით მოქალაქეთა შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია და მთავრობისა და ყველა მისი ორგანოს დაბრუნება რესპუბლიკის კონსტიტუციით განსაზღვრული კანონიერების ნიადაგზე.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციასა და მის ყველა წევრს სოციალისტურ პარტიასთან და დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ყველა ღონისძიება, რაც საჭიროა იტალიაში ფართო დისკუსიის გასაჩაღებლად ამ წინადადებათა გამო, რათა ერთობლივად შეიმუშაონ იტალიის აღდგენისა და აღორძინების წინადადებანი და გეგმები და იბრძოლონ მათი განხორციელებისათვის.

ირანის მთავრობის ნოტა დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი

თეირანი, 13 იანვარი. (საკუთარი). როგორც გაზეთი „ატეში“ იუწყება, ინგლისის საელჩომ თეირანში უკან დაუბრუნა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისი 9 ივნვრის ნოტა.

გაზეთი „ბახტარე ემრუზი“ აღნიშნავს, რომ ირანის 9 იანვრის ნოტა, რომელიც შეიცავს მტკიცე პროტესტს „ირანში ამ უკანასკნელ დროს ინგლისის მთავრობის მოხელეთა აქტივიზაციისა და ირანის საქმეებში მათი აშკარა ჩარევის“ წინააღმდეგ, იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ „ამ 2 უკანასკნელი კვირის განმავლობაში და განსაკუთრებით ინგლისის ელჩის შეპარდის ლონდონიდან ირანს დაბრუნების შემდეგ გაძლიერდა „ინტელიჯენს სერვისის“ საქმიანობა ირანში, სადაც ინგლისის აგენტები ახლა თავისუფლად მოგზაურობენ და აღგენენ სისხლიანი ინციდენტების, სახელმწიფო გადატრიალების, პარლამენტის იპოზიციისათვის მხარდაჭერისა და სხვ. გეგმებს“.

ეს აგენტები, წერს „ბახტარე ემრუზი“, „ჯერ კიდევ ფიქრობენ, რომ ისინი დაპყრობილ ქვეყანაში იმყოფებიან“.

პარიზი, 13 იანვარი. (საკუთარი). ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, გუშინ პრესის წარმომადგენლებს აცნობეს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტის ტექსტი, რომელიც აუწყებს დიდი ბრიტანეთის საელჩოს ირანში ბრიტანეთის ყველა საკონსულოს დახურვის შესახებ.

თავის ნოტაში ირანის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მას ჯერ შეუძლია მოითმინოს ირანის საშინაო საქმეებში ჩარევა, რადგან მან უნდა დაიცვას ირანის ინტერესები“.

ირანის მთავრობის ნოტა მოითხოვს, რომ ბრიტანეთის ყველა საკონსულო ირანში დაიხუროს 21 იანვრიდან.

პარიზი, 13 იანვარი. (საკუთარი). ფრანს პრესის საგენტო თეირანიდან იუწყება:

ირანის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ბრიტანეთის ყველა საკონსულო ირანში დაიხუროს 21 იანვრიდან.

ირანის ნოტა ინგლისისადმი

პარიზი, 12 იანვარი. (საკუთარი). ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, რომ ირანის მთავრობამ დიდი ბრიტანეთის საელჩოს თეირანში გადასცა ნოტა, რომელშიც კვლავ დაადასტურა თავისი უფლება—მიჰყიდოს ირანის ნავთი ყოველ კლიენტს თავისი არჩევანის მიხედვით და განახორციელოს ყოველგვარი ღონისძიებანი ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის დარგში, აგრეთვე ირანის ნავთის სამდიდრის ექსპლოატაციის საკითხში.

თავის ნოტაში ირანის მთავრობამ აგრეთვე კვლავ განაცხადა, რომ ჰაიგის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციის არ ექვემდებარება ირანის ამ სრულიად საშინაო საქმის გარჩევა.

ინგლისის ახალი აგრესიული აქტი ეგვიპტეში

კაირო, 12 იანვარი. (საკუთარი). როგორც ეგვიპტის პრესა იუწყება, გუშინ ინგლისის ჯარებმა შეწყვიტეს ყოველგვარი მიმოსვლა სუეცის არხის ზონასა და ეგვიპტის სხვა ნაწილებს შორის.

გაზეთი „აზ-ზამანი“ იუწყება, რომ ინგლისელებმა აუკრძალეს ყველას სუეცის არხის ზონაში შესვლა და იქიდან გამოსვლა.

ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომუნიკეს თანახმად, ინგლისის ჯარები გარშემორტყმულნენ აბუ სუეციის და ისმაილის არხის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ორ სოფელს და იქ ჩხრეკა მოახდინეს.

როგორც კომუნიკე იუწყება, მცხოვრებნი გაძევებულ ქალებისა და ბავშვებისაგან განცალკევებით ეკლიანი მავთულით შემოღობილ ადგილს. გაზეთი „ალ-მისრი“ იუწყება, რომ ამ ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო 1.500 ინგლისელმა ჯარისკაცმა. დაჯარიმებულ მრავალი ეგვიპტელი გლეხი.

ირანის მეჯლისის არჩევნები

თეირანი, 12 იანვარი. (საკუთარი). ირანის ჩრდილოეთ პროვინციების მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში დაიწყო მე-17 მოწვევის მეჯლისის არჩევნები. კენჭისყრა, კერძოდ, მიმდინარეობს ქალაქებში ზენჯანში, მიანეში, ბენდერგეაზსა და შაჰრუდში.

ზოგიერთი პროვინციული ქალაქიდან მოდის ცნობები, რომ წინასაარჩევნო ბრძოლის თან ახლავს სისხლისმღვრელი პროვოკაციები.

სასაზღვრო ინციდენტები საბერძნეთსა და თურქეთს შორის

ათენი, 14 იანვარი. (საკუთარი). საბერძნეთის გაზეთები კვლავ იუწყებიან საბერძნეთსა და თურქეთს შორის სასაზღვრო ინციდენტების შესახებ. გუშინ იუწყებოდნენ, რომ თურქებმა ხელთ იგდეს საბერძნეთის კიდევ 2 თევზსაჭერი გემი, რომლებიც ეკიპაჟებთან ერთად თურქეთის ნავსადგურში წაიყვანეს. პრესა იუწყება აგრეთვე დაწვრილებითს ცნობებს თურქების მიერ ამ დღეებში საბერძნეთის კიდევ ერთი თევზსაჭერი გემის ხელში ჩაგდების შესახებ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 იანვარი. (საკუთარი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 12 იანვრის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგესთან წინანდელ ზღუდეებზე და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

გუშინ დასავლეთის ფრონტზე ჩინდანისა და იონჩხონის რაიონებში მოწინააღმდეგემ დიდძალი ტანკებისა და არტილერიის დახმარებით რამდენიმე. გაფთრებული იერიში მოიტანა და ცდილობდა ხელი ეგდო მნიშვნელოვანი მაღლობები, რომლებიც სახალხო არმიის ნაწილებს უჭირავთ. მაგრამ მოწინააღმდეგე ყოველთვის აწყდებოდა სახალხო არმიის მძლავრ წინააღმდეგობას, დიდი ზარალი მოსდიოდა და უკან იხევდა. ამ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოსპეს და დაჭრეს მტრის 930-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია მტრის ორი ტანკი. წამოიღებულია დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა.

საომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 13 იანვარი. (საკუთარი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ნაწილებმა ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ხოა-ბინის ფრონტზე, აგრეთვე წითელი მდინარის დელტაში და ჩრდილოეთ ვიეტნამის ცენტრალურ ფრონტზე.

6 იანვარს ღამით სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მტრის საარტილერიო პოზიცია ხოა-ბინის აეროდრომზე და ექვსი გამაგრებული პუნქტი ქალაქ ხოა-ბინის ჩრდილოეთით. 8 იანვარს სახალხო არმიის არტილერიამ და საზენიტო ნაწილებმა ხოა-ბინის სექტორში მოსპეს მტრის 4 თვითმფრინავი.

4 იანვარს ღამით სახალხო არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ნამ-დინის რაიონში (80 კილომეტრზე სანოის სამხრეთით) და სავსებით გაანადგურეს ამ რაიონში მყოფი მტრის ქვეითაყოფები. წამოიღებულია დიდი ნადავლი და წამოყვანილია 161 ტყვე.

გარდა ამისა, მიმდინარე თვის პირველი კვირის განმავლობაში სახალხო არმიის ნაწილებმა ჩრდილოეთ ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის მოტომექანიზებულ ქვეგანაყოფებზე და დიდი ზარალი მიაყენეს მას.

ოგო გროტევოლის განცხადება

ბერლინი, 11 იანვარი. (საკუთარი). აღნ-ის საგენტოს ცნობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოტო გროტეოლი დღეს ქალაქ რიზაში გამოვიდა მიტინგზე, რომელსაც 15 ათასი მშრომელი დაესწრო.

ოტო გროტეოლმა იმ დღეს, როცა ბონის პარლამენტმა „შუმანის გეგმის“ რატიფიკაცია მოახდინა, უწოდა შავი პარასკევი გერმანელი ხალხის ისტორიაში. „შუმანის გეგმის“ მოწონება ბონის მიერ, თქვა მან, „საერთო ხელშეკრულებისა“ და მესამე მსოფლიო ომის მოწონებაა. ამიტომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, ახლავე შევდგეთ იმას, რომ გერმანიის ყველა ნაწილში განვახორციელოთ გერმანიის ეროვნული კრების არჩევნებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

მიტინგის მონაწილეებმა მხურვალედ დუპირეს მხარი გროტეოლს განცხადებას.

ბელგიის მთავრობის კრიზისის გამო

ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს კომუნიკე

ბრიუსელი, 12 იანვარი. (საკუთარი). ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს კომუნიკეში ბელგიის მთავრობის კრიზისის საკითხზე, რაც გაზეთმა „დრაპო რუჟმა“ გამოაქვეყნა, აღნიშნულია, რომ ფოლიენის მთავრობა გადადგა, თუმცა მმართველ სოციალურ-ქრისტიანულ პარტიას ორივე პალატაში აბსოლუტური უმრავლესობა ჰყავს. მთავრობის დაცემა იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ეწოდა იგი თავისი შექმნის დროიდან.

„ამერიკელ იმპერიალისტთა მიერ თავსმოხვეული ეს პოლიტიკა, — ნათქვამია კომუნიკეში, — გამოიხატებოდა მისწრაფებით უზრუნველყოთ ბელგიის ხელახალი მასობრივი შეიარაღება იმისათვის, რომ მან შეძლოს თავისი როლი შეასრულოს იმ აგრესიულ ომში, რომელსაც ატლანტიკის ბლოკის ქვეყნები ამზადებენ.

ამ პოლიტიკის შედეგი იყო: უარის თქმა ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, კატასტროფული საფინანსო და ეკონომიური მდგომარეობა, სამხედრო ხარჯების უზომოდ გადიდება, მშრომელი მასების ცხოვრების პირობების განუწყვეტელი გაუარესება; ამ პოლიტიკამ შექმნა გარდაუვალი დეველაციის საფრთხე“.

„არავითარი ეჭვი არ არის,—ხაზგასმით აღნიშნულია კომუნიკეში,—ამერიკელ იმპერიალისტთა მიზანი ის არის, რომ ბელგიის ხელმძღვანელობა დააკისროს ისეთ მთავრობას, რომელიც უფრო ეფექტიანად განახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველ პოლიტიკას და რომელიც, სხვათა შორის, უზრუნველყოფს შუმანის გეგმის სწრაფ მოწონებას და ევროპის არმიის შექმნის გეგმის რატიფიკაციას“.

დასასრულ ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს აცხადებს:

„თუ ფოლიენის მემკვიდრე ამ გზას დაადგება, იგი მტკიცე ოპოზიციის წააწყდება არა მარტო მთელი კომუნისტური პარტიის სახით, არამედ, მასთან ერთად ყველა რწმენის მამაკაცთა და ქალთა უაღრესად ფართო მასების სახითაც, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გზა გადაუღობონ სიღატაკეს, ფაშიზმსა და ომს.

პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ მთავრობის კრიზისი შეიძლება ნამდვილად მოწესრიგდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფოლიენ-ვან ზეელანდის ჯგუფი შეიცვლება ისეთი მთავრობით, რომელიც მზად იქნება შეცვალოს პოლიტიკა, გაათავისუფლოს ბელგია ატლანტიკის ჩაგრისაგან ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა მხრივ და მტკიცედ დაადგეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და მშვიდობის დაცვის გზას“.

არჩევნები ინდოეთში

ბომბეი, 11 იანვარი. (საკუთარი). როგორც სარწმუნო წყაროებიდან გამოირკვა, დღეს ინდოეთის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის კანდიდატმა და ინდოეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწემ ტრავანკორ-კოჩინის შტატში ვ. ტ. პუნუსემ გამარჯვება მოიპოვა ინდოეთის პარლამენტის არჩევნებში. იმის გამო, რომ ხელისუფლება სდევნიან, პუნუსე არალეგალურად ცხოვრობს.

გრძელდება ბომბეის ერთ-ერთ საარჩევნო ოლქში ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრ დანეკანთის მიცემული ხმების დათვლა. გამოირკვა, რომ დანგემ 96.538 ხმა შეაროვა. საარჩევნო კომისიამ გაუქმებულად გამოაცხადა დანგესათვის მიცემული 39 ათასი ხმა.

ბომბეი, 13 იანვარი. (საკუთარი). პრესა იუწყება ინდოეთის არჩევნებში გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის ახალ წარმატებათა შესახებ. ტრავანკორ-კოჩინის შტატში ინდოეთის ცენტრალურ პარლამენტში არჩეულია გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის კიდევ ორი კანდიდატი. ამრიგად, 13 იანვრისათვის ტრავანკორ-კოჩინიდან ინდოეთის პარლამენტში არჩეულია პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის 6 კანდიდატი, გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის 4 კანდიდატი, 1 დამოუკიდებელი და სხვა პარტიების 1 კანდიდატი. ამავე შტატში გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის კიდევ 2 კანდიდატი არჩეულ იქნა ადგილობრივ საკანონმდებლო კრებაში.

ჰაიდერაბადის სახალხო - დემოკრატიული ფრონტის კანდიდატი რამჩანდრა გოვინდ პარანჯაპე არჩეულია ინდოეთის ცენტრალურ პარლამენტში. ჰაიდერაბადის საკანონმდებლო კრებაში არჩეულია ჰაიდერაბადის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის კიდევ 2 კანდიდატი.

მადრასის შტატის ადგილობრივი საკანონმდებლო კრების არჩევნებში გაიმარჯვა ინდოეთის კომპარტიის 3 კანდიდატმა.

ხელოვნების ქრონიკა

თბილისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ალ. კალანდარიშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „ჩაეტეხილი ხიდი“, რომელიც ი. ჯავჯავაძის ნაწარმოებთა მიხედვით არის დაწერილი.

სპექტაკლში მთავარი როლები შეასრულეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტებმა თ. ლეონიძეშვილმა (ოთარაანთ ქვრივის), ა. მურუსიძემ (კაკოს მამა), ვ. ჩხეიკაძემ (ბუბაა), მსახიობებმა გ. ნაცვლიშვილმა (არჩილი), თ. ლორთქიფანიძემ (ეკოს), ნ. წინამძღვარიძმ (დარეჯანი), გ. კოკელიძემ (ლეარსაბი), ა. ქელბაქიანმა (კაკო), ა. კალანდარიშვილმა (ბაბრო) და სხვ.

პიესა დადგეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა თ. ლორთქიფანიძემ, მხატვრულად გაფორმა დ. კაკაბაძემ, ხოლო მუსიკა დაწერა სტალინური პრემიის ლაურეატმა შ. მშველიძემ.

ხიდნაული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ხიდნაულის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ა. კაკაბაშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „ჩვენი ადამიანები“. დადგმა ეკუთვნის რ. ქართველიშვილს, მხატვრობა — გ. ნადირაშვილს, მუსიკა — ს. გრიგორიევს.

როლები შეასრულეს მსახიობებმა ბ. რომანიშვილმა, ს. ბაშინჯაღოვმა, ე. გეგაზავამ, თ. მანველიშვილმა, თ. მენთეშაშვილმა, ა. პავლიაშვილმა, თ. სულხანიშვილმა, გ. ფხოველიშვილმა, გ. ბაშინჯაღოვმა, ი. იოსებაშვილმა, ს. ლინიევმა, ე. მოსესოვმა, რ. აბრამოვმა.

სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო.

კომუნიზმის დიადი მშენებლობების ხელშემწყობ კომიტეტში

დღეს, 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (კერესინსკის ქ. № 8) შეიკრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული კომუნიზმის დიადი მშენებლობების ხელშემწყობი კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: კომუნიზმის დიადი მშენებლობებისათვის ხელშემწყობი კომიტეტის ანგარიში 1951 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (მომხსენებელი საქართველოს სსრ აკადემიის ნამდვილი წევრი კ. ს. ზავრიევი);

საშენი მასალები თურქმენეთის მთავარი არხის ბეტონის საშუშაოებისათვის (მომხსენებელი დოცენტი პ. პ. წულუკიძე);

მდინარე ამუ-დარიაზე ტახია-ტაშის კაშხალის ზემო ბიეფის დალექვის გამოკვლევა (მომხსენებელი პროფესორი მ. ა. მოსტკოვი);

ყარა-ყუმის ქვიშის გამოყენება ბეტონის საშუშაოებში თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე (მომხსენებელი პროფ. ა. ა. შტაერმანი).

ყარადაღის ტრასის გამოყენება ხილეკატური ცემენტის ეკონომიის მიზნით ჩრდილოეთ ყარადაღის არხის მშენებლობაზე (მომხსენებელი დოცენტი მ. ა. ნეტკაჩოვი).

კენზოველის სახელობის საქალაქო პერკაბინეტში

15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, მომხსენებლებისა და პროპაგანდისტებისათვის შედგება ამხ. ნ. მახარაძის საინსტრუქციო მოხსენება თემაზე: „28 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — „ქმედითი პოლიტიკური აგიტაციისათვის. ლენინის დღეების წინ. შეფიქრებნის დახმარება. სახელოვანი წლისთავი. გადწყვეტილება ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეებისა და წევრების შესახებ.

საბჭოთა კავშირი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — ა. გურგენიძე — რაიკომი და პოლიტიკური აგიტაცია. საქართველოს აღკაკ თბილისის კომიტეტის პლენუმი.

პრესის მიმოხილვა — ცხოვრებისაგან მოწყვეტილი გაზეთი.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. მკითხველთა წერილები.

სოფლის მეურნეობის თემაზე — ს. ეფრემიძე — „ლავოდნის გრძელთავთავა“. ვ. ძასოხოვი — ზამთარი მეცხოველეობის ფერმებში.

მესამე გვერდი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია. ამხანაგ ა. ი. ვიშინსკის სიტყვა. ა. ი. ვიშინსკის საუბარი საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს დელეგაციასთან.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

ირანის მეჯლისის ნოტა ინგლისისადმი

ტეჰერანი, 12 იანვარი. (საკუთარი). ირანის მეჯლისის ეროვნული ფრონტის ლიდერ ალი ბაზარგანმა, ინგლისის ელჩ ალ. ბოლეს, ინგლისელ ბიზნესმენ ალ. ბოლეს, ინგლისელ ბანკირ ალ. ბოლეს, ინგლისელ ბანკირ ალ. ბოლეს, ინგლისელ ბანკირ